



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების
კლასტერის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სახელწოდება სწავლის სფეროების
კლასიფიკატორის მიხედვით

ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი საბაკალავრო პროგრამა
ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი (ინგლისურენოვანი)
საბაკალავრო პროგრამა
ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი საბაკალავრო პროგრამა
ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამა
ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი საბაკალავრო პროგრამა
ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამა
ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები საბაკალავრო პროგრამა
ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
2024 წლის 9 – 11 ოქტომბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი
2024 წლის 13 დეკემბერი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	229275405
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მ. აბდულ რაუფი - ვიტენბორგის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი, ნიდერლანდები
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან ქავთარაძე - “ფოკუს სტუდიო”, აღმასრულებელი დირექტორი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ კბილაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიგა ხოსიტაშვილი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია დადელიშვილი - შპს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მედეა ჭელიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი გვენეტაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3	პროგრამა 4	პროგრამა 5	პროგრამა 6	პროგრამა 7	პროგრამა 8
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი	ბიზნესის ადმინისტრირება საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი	ბიზნესის ადმინისტრირება მენეჯმენტი	ბიზნესის ადმინისტრირება მენეჯმენტი	ბიზნესის ადმინისტრირება მარკეტინგი	ბიზნესის ადმინისტრირება მარკეტინგი	ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსები	ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსები
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია²	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი აღრიცხვასა და დაბეგვრაში/ Bachelor of Business Administration (BBA) in Accounting and Taxation	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი აღრიცხვასა და დაბეგვრაში/ Bachelor of Business Administration (BBA) in Accounting and Taxation	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში/ Bachelor of Business Administration (BBA) in Management	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში/ Bachelor of Business Administration (BBA) in Management	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში/ Bachelor of Business Administration (BBA) in Marketing	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში/ Bachelor of Business Administration (BBA) in Marketing	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში/ Bachelor of Business Administration (BBA) in Finance	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში/ Bachelor of Business Administration (BBA) in Finance
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0411 საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი	0411 საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0414 მარკეტინგი და რეკლამა	0414 მარკეტინგი და რეკლამა	0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა	0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	არ ეხება	არ ეხება	არ ეხება	არ ეხება	არ ეხება	არ ეხება	არ ეხება	არ ეხება
სწავლების ენა	ქართული	ინგლისური	ქართული	ინგლისური	ქართული	ინგლისური	ქართული	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	180	180	180	180	180	180	180	180
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი	ახალი	ახალი	ახალი	ახალი	ახალი	ახალი	ახალი

3 (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ⁴**

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი 1995 წლიდან წარმოადგენს ინგლისურენოვანი განათლების პიონერს საქართველოში, რომელიც ახორციელებს ყველა აკადემიური საფეხურის ინგლისურენოვან და ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებს. უნივერსიტეტს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი აქვს ბიზნესის ადმინისტრირების რვა საბაკალავრო პროგრამა. ბიზნესის ადმინისტრირების რვა საბაკალავრო პროგრამა ქმნის ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ლოგიკურად დაკავშირებულ კლასტერს, რომლებსაც გააჩნიათ საერთო მახასიათებლები, მაგრამ ამავედროულად ხაზს უსვამს სხვადასხვა სპეციალიზაციას. პროგრამები შექმნილია ბიზნესის ადმინისტრირების სხვადასხვა სფეროში კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარების მიზნით, მათ შორის მენეჯმენტის, მარკეტინგის, აღრიცხვის და აუდიტის და ფინანსების მიმართულებით.

პროგრამის სტრუქტურა და კრედიტები

კლასტერში შემავალი პროგრამები მიჰყვებიან ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემას (ECTS) და გააჩნიათ შემდეგი მახასიათებლები:

- ხანგრძლივობა: 3 აკადემიური წელი (6 სემესტრი)
- კრედიტების ჯამი: 180 (1 კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს)
- თავისუფალი სასწავლო კურსები: 30-35 კრედიტი
- სავალდებულო თავისუფალი კურსები: 20 კრედიტი
- არჩევითი თავისუფალი კურსები: 10-15 კრედიტი
- სპეციალობის კომპონენტები: 145-150 კრედიტი (სავალდებულო და არჩევითი)

სასწავლო გეგმის აგებულება

თითოეული პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს:

1. ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო ძირითად კურსებს
2. სპეციალიზებულ კურსებს ოთხი მიმართულებიდან ერთ-ერთში: მენეჯმენტი, მარკეტინგი, აღრიცხვა და აუდიტი ან ფინანსები
3. არჩევით კურსებს ინდივიდუალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

პროგრამის განვითარება და შეფასება

აღნიშნული პროგრამების განვითარება მოიცავდა:

1. დაინტერესებული მხარეების ჩართულობას
2. ინდუსტრიის ტენდენციების და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებას
3. საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებას
4. პროგრამის ხელმძღვანელებს შორის თანამშრომლობას
5. დარგის ექსპერტების მიერ გარე შეფასებას, რამაც მიიღო დადებითი შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ყოვლისმომცველი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ძირითადი მაჩვენებლების რაოდენობრივი ანალიზი:

⁴ პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

საბაკალავრო პროგრამების რაოდენობა	8
პროგრამის ხანგრძლივობა (წელი)	3
თითოეულ პროგრამაში კრედიტების საერთო რაოდენობა	180
თავისუფალი სასწავლო კურსების კრედიტები	30 - 35
სპეციალობის კომპონენტის კრედიტები	145 - 150
სწავლების ენა	ქართული და ინგლისური

აღნიშნული მონაცემები დემონსტრირებს კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების თანმიმდევრულობას სტრუქტურის და კრედიტების განაწილების თვალსაზრისით, ამავდროულად იძლევა სპეციალიზაციის შესაძლებლობას ბიზნესის ადმინისტრირების ფართო სფეროში.

• აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ კლასტერში წარმოდგენილი 8 ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის შეფასების მიზნით განხორციელდა 2024 წლის 9-11 ოქტომბერს თბილისში, საქართველოში. შეფასება მოიცავდა რვა განსხვავებულ ქართულენოვან და ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამას: აღრიცხვა და აუდიტი, მენეჯმენტი, მარკეტინგი და ფინანსები.

ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა საერთაშორისო ექსპერტი, შედგებოდა დარგის ექსპერტებისგან, უმაღლესი განათლების ექსპერტისგან, სტუდენტი ექსპერტისგან, ვიზიტი მხარდაჭერილი იყო სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლების მიერ.

ყოველმომცველი შეფასების პროცესი მოიცავდა:

- დოკუმენტების შესწავლა: პროგრამასთან დაკავშირებული მასალების საფუძვლიანი შესწავლა;
- ადგილზე ვიზიტი: სამი დღის განმავლობაში წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის მიხედვით;
- გასაუბრებები დაინტერესებულ მხარეებთან: შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება: უნივერსიტეტის მატერიალური, ტექნიკური რესურსების და ინფრასტრუქტურის შეფასება.

ვიზიტი გამოირჩეოდა თანამშრომლობითი ატმოსფეროთი, უნივერსიტეტმა ეფექტურად წარმართა პროცესი. ვიზიტის დასასრულს ჯგუფის პირველადი მიგნებები გაზიარებულ იქნა დაწესებულებასთან, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ეტაპს შპს შავი ზღვის საერთაშორისო

უნივერსიტეტის კლასტერში წარმოდგენილი ბიზნესის ადმინისტრირების 8 საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის პროცესში.

- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა
 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
ყველა პროგრამა შეესაბამება მოთხოვნებს
 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
ყველა პროგრამა შეესაბამება მოთხოვნებს
 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
ყველა პროგრამა მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს
 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
ყველა პროგრამა შეესაბამება მოთხოვნებს
 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
ყველა პროგრამა შეესაბამება მოთხოვნებს
- რეკომენდაციები

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები:

1.4.1 რეკომენდებულია, გასწორდეს მინიჭებულ კვალიფიკაციასთან დაკავშირებული შეცდომა - საზოგადოებასთან ურთიერთობის ბაკალავრი (თვითშეფასების ანგარიშის 27-ე გვერდზე (ქართულენოვანი ვერსია) და თვითშეფასების ანგარიშის 26-ე გვერდზე (ინგლისურენოვანი ვერსია)).

1.4.2 რეკომენდებულია, ქართულენოვანი პროგრამების სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალში გათვალისწინებული იყოს უახლესი ქართულენოვანი წყაროები.

3.1.1 რეკომენდებულია, ბიზნესის სკოლამ გააძლიეროს ინტერნაციონალიზაცია და სტუდენტებს ეფექტურად მიაწოდოს ინფორმაცია გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის უპირატესობების შესახებ.

4.1.1 რეკომენდებულია, პროგრამების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

რეკომენდაციები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი, ბაკალავრიატი)

არ არის წარმოდგენილი

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი)

არ არის წარმოდგენილი

პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)

1.4.1 რეკომენდებულია გასწორდეს შეცდომა: წინაპირობების ცხრილში ორჯერ არის მითითებული სტატისტიკა და ალბათობა ბიზნესისთვის და განსხვავებულია კრედიტების რაოდენობა (5/6 კრედიტი).

1.4.2 რეკომენდებულია გასწორდეს შეცდომა: საბაკალავრო ნაშრომის კრედიტების მოცულობა (6 კრედიტი) არ შეესაბამება საათების საერთო მოცულობას (175 საათი 150-ის ნაცვლად).

პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი)

1.4.1 რეკომენდებულია გასწორდეს შეცდომა: პროგრამაში დარგობრივი არჩევითი კურსების საერთო მოცულობის სახით მითითებულია 10 კრედიტი 15 კრედიტის ნაცვლად (ინგლისურენოვანი დოკუმენტის მე - 20 გვერდზე და ქართულენოვანი დოკუმენტის 25-ე გვერდზე).

1.4.2 რეკომენდებულია გასწორდეს შეცდომა: საბაკალავრო ნაშრომის კრედიტების მოცულობა (6 კრედიტი) არ შეესაბამება საათების საერთო მოცულობას (175 საათი 150-ის ნაცვლად).

1.4.3 რეკომენდებულია გასწორდეს შეცდომა: წინაპირობების ცხრილში ფიქსირდება რამდენიმე შეცდომა კურსების განხორციელების სემესტრებთან დაკავშირებით (მაგ. ფსიქოლოგიის შესავალი - VI სემესტრი III სემესტრის ნაცვლად, ციფრული მარკეტინგის პრინციპები - V სემესტრი IV სემესტრის ნაცვლად).

პროგრამა 5 (ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი, ბაკალავრიატი)

1.4.1 რეკომენდებულია გასწორდეს შეცდომა: განსხვავებული კრედიტებით არის წარმოდგენილი სტატისტიკა და ალბათობა ბიზნესისთვის (5/6) კრედიტი (წინაპირობების ცხრილის ჩათვლით).

1.4.2 რეკომენდებულია გასწორდეს შეცდომა: პროგრამის რამდენიმე კომპონენტი მონიშნულია ორ სემესტრში ერთი სემესტრის ნაცვლად (მაგ. სტარტაპ აქსელერატორი, საბაკალავრო ნაშრომი, სტაჟირება).

1.4.3 რეკომენდებულია გასწორდეს შეცდომა: არასწორად არის მითითებული საათების საერთო რაოდენობა ინტეგრირებულ მარკეტინგულ კომუნიკაციებში (5 კრედიტი).

1.4.4 რეკომენდებულია გასწორდეს შეცდომა: კურსი “მონაცემთა ანალიზი და მოდელირება ელექტრონული ცხრილებით” ასევე გვხვდება სახელწოდებით “მონაცემთა ანალიზი და ბიზნეს მოდელირება Excel-ში” (მაგ. წინაპირობების ცხრილში).

პროგრამა 6 (ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი)

1.4.1 რეკომენდებულია გასწორდეს შეცდომა: განსხვავებული კრედიტებით არის წარმოდგენილი სტატისტიკა და ალბათობა ბიზნესისთვის (5/6) კრედიტი (წინაპირობების ცხრილის ჩათვლით).

1.4.2 რეკომენდებულია გასწორდეს შეცდომა: პროგრამის რამდენიმე კომპონენტი მონიშნულია ორ სემესტრში ერთი სემესტრის ნაცვლად (მაგ. სტარტაპ აქსელერატორი, საბაკალავრო ნაშრომი, პრაქტიკა).

1.4.3 რეკომენდებულია გასწორდეს შეცდომა: არასწორად არის მითითებული საათების საერთო რაოდენობა ინტეგრირებულ მარკეტინგულ კომუნიკაციებში (5 კრედიტი).

პროგრამა 7 (ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები, ბაკალავრიატი)

არ არის წარმოდგენილი

პროგრამა 8 (ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი)

არ არის წარმოდგენილი

- რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

კლასტერის ზოგადი რჩევები:

სტანდარტი 1

1.2.1 სასურველია, ჩამოყალიბდეს სტრუქტურირებული პროცესი დაინტერესებული მხარეების პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში ჩართულობისთვის.

1.2.2 სასურველია, გადაიხედოს პროგრამის მაღალი დონის სწავლის შედეგები იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას მათი მიღწევადობა პროგრამის ხანგრძლივობის ფარგლებში.

1.3.1 სასურველია, შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების უფრო სტრუქტურირებული ციკლი. აღნიშნული უნდა მოიცავდეს მონაცემთა შეგროვების, ანალიზის და შედეგების გამოყენების მკაფიოდ განსაზღვრულ ეტაპებს. დაინერგოს სისტემური მიდგომა სხვადასხვა წყაროდან როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემების შესაგროვებლად, მათ შორის პირდაპირი შეფასებებიდან (მაგ. გამოცდები, პროექტები) და არაპირდაპირი მეთოდებიდან (მაგ. გამოკითხვები, ფოკუს ჯგუფები).

1.3.2 სასურველია, თითოეული სწავლის შედეგისთვის განისაზღვროს კონკრეტული სამიზნე ნიშნულები. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამას დადგენილი აქვს ზოგადი სამიზნე ნიშნულები, სასურველია აღნიშნული ნიშნულები უფრო ზუსტად იყოს განსაზღვრული და შეესაბამებოდეს ინდუსტრიის სტანდარტებს. ასევე რეალისტური და რელევანტური სამიზნე ნიშნულების დადგენის მიზნით, რომლებიც ასახავს ბაზრის მიმდინარე მოთხოვნებს, ტენდენციებს და მოლოდინებს დაწესებულებამ უნდა ითანამშრომლოს გარე დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან.

1.3.3 სასურველია, გაძლიერდეს შეფასების პროცესში გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება გარკვეულწილად თანამშრომლობას დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან, აღნიშნული უნდა იყოს უფრო სისტემატიური და ფორმალიზებული.

1.4.1 სასურველია, ზოგიერთ სასწავლო კურსში უფრო ზუსტად განისაზღვროს დაშვების წინაპირობები.

1.5.1 სასურველია, ზოგიერთი კურსის სილაბუსებში განახლდეს, შეივსოს ან / და დაზუსტდეს მითითებული სავალდებულო ლიტერატურა, იმისათვის, რომ სრულად აისახოს დარგის თანამედროვე მიღწევები.

1.5.2 სასურველია, შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების გამოყენებისას უფრო მეტად იყოს გათვალისწინებული კურსის მოცულობა და სპეციფიკა.

1.5.3 სასურველია, თემების გადაფარვის აღმოსაფხვრელად და სწავლის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით განახლდეს ან / და გადაიხედოს კურსების შინაარსი.

1.5.4 სასურველია, პროგრამას დაემატოს/გაძლიერდეს კომპონენტები, რომლებიც უზრუნველყოფს დაუფლებას.

1.5.5 სასურველია, უფრო მკაფიოდ იყოს წარმოდგენილი სწავლის შედეგები, რომლებიც შეიძლება მიღწეულ იქნას ერთი და იგივე სილაბუსებით სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში (სხვადასხვა ლექტორის მიერ).

1.5.6 სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება, რაც სტუდენტებს დაეხმარება მიიღონ მაღალი ხარისხის განათლება შესაბამის სფეროებში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

სტანდარტი 2

2.2.1 სასურველია, ორგანიზაციებთან გაფორმებულ ყველა მემორანდუმში და ხელშეკრულებაში მიეთითოს სტუდენტების რაოდენობა, რომელთა მიღებასაც შეძლებენ აღნიშნული ორგანიზაციები.

2.2.2 სასურველია, გაიზარდოს სტუდენტების ინფორმირებულობა გაცვლითი პროგრამების შესახებ და მათი სათანადო მხარდაჭერა აღნიშნულ აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად.

2.3.1 სასურველია, ფაკულტეტის მიერ შემუშავდეს სტრატეგია სწავლებაში და კვლევაში ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენების დარეგულირების შესახებ.

2.4.1 სასურველია, გაძლიერდეს სტუდენტებთან კომუნიკაცია გასაჩივრების პროცედურების შესახებ.

2.4.2 სასურველია, სტუდენტს ჰქონდეს შესაძლებლობა ხელახლა ჩააბაროს გამოცდა გაცდენის მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე.

სტანდარტი 3

3.1.1 სასურველია, შეიცვალოს ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტის შერჩევის პროცედურა და პროცედურა ითვალისწინებდეს არჩევას შერჩევის ნაცვლად.

სტანდარტი 4

4.4.1 სასურველია, შეიქმნას სპეციალური ლაბორატორიები, რომლებიც ორიენტირებული იქნება ისეთ ძირითად სფეროებზე, როგორიცაა მარკეტინგი, მენეჯმენტ კონსალტინგი, ციფრული ტრანსფორმაცია და ფინანსები. აღნიშნული ლაბორატორიები სტუდენტებს საშუალებას მისცემს ჩაერთონ პრაქტიკულ, ინდუსტრიაზე ორიენტირებულ სწავლებაში, რომელიც შეესაბამება მათი სწავლის სფეროებს.

4.4.2 სასურველია, ლაბორატორიის აქტივობები დაიგეგმოს რეალურ პროექტებზე დაყრდნობით, სადაც სტუდენტები შეძლებენ პრაქტიკული გამოცდილების მიღებას. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებს შორის თანამშრომლობით, ინტერდისციპლინურ გუნდებში მუშაობით, სტუდენტების სამეწარმეო უნარების განვითარებას.

4.4.3 სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ინდუსტრიის ექსპერტების, წარმატებული მეწარმეების და ფაკულტეტის წევრების ჩართვა სტუდენტებისთვის ინდივიდუალურ მენტორობაში. აღნიშნული ხელმძღვანელობა დაეხმარება სტუდენტებს საწარმოს შექმნის მთელი პროცესის განმავლობაში, იდეის ჩამოყალიბებიდან განხორციელებამდე.

რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი, ბაკალავრიატი)

1.2.1 სასურველია, ჩამოყალიბდეს უფრო კონკრეტული, გაზომვადი სწავლის შედეგები მოქნილი უნარებისთვის.

1.4.1 სასურველია, სტატისტიკა და ალბათობა ბიზნესისთვის კურსის წინაპირობად განისაზღვროს მათემატიკა II.

1.4.2 სასურველია, საჯარო ფინანსების კურსის წინაპირობად განისაზღვროს ფინანსების შესავალი.

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი)

არ არის წარმოდგენილი

პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)

1.1.1 სასურველია, გათვალისწინებული იყოს უფრო მკაფიო მითითებები საერთაშორისო აღრიცხვის სტანდარტებზე და პრაქტიკაზე პროგრამის გლობალური შესაბამისობის გასაძლიერებლად.

1.1.2 სასურველია, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს უახლესი ტექნოლოგიები, როგორიცაა ბლოკჩეინი, ფინტეკი და მოწინავე ციფრული ინსტრუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ინდუსტრიასთან.

1.4.1 სასურველია, სტატისტიკა და ალბათობა ბიზნესისთვის კურსის წინაპირობად განისაზღვროს მათემატიკა II.

პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი)

1.4.1 სასურველია, სტატისტიკა და ალბათობა ბიზნესისთვის კურსის წინაპირობად განისაზღვროს მათემატიკა II.

პროგრამა 5 (ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი, ბაკალავრიატი)

1.1.1 სასურველია, გათვალისწინებული იყოს სპეციფიკური მიზნები, რომლებიც დაკავშირებულია მონაცემებზე დაფუძნებულ მარკეტინგთან, ციფრულ ანალიტიკასთან და მოწინავე თანამედროვე ტექნოლოგიებთან.

1.2.1 სასურველია, პროგრამის ფარგლებში შემუშავდეს სწავლის შედეგების მკაფიო პროგრესის რუკა და უზრუნველყოფილი იყოს შედეგების მკაფიო კავშირი შესაბამის დარგობრივ ნიშნულებთან.

1.4.1 სასურველია, სტატისტიკა და ალბათობა ბიზნესისთვის კურსის წინაპირობად განისაზღვროს მათემატიკა II.

1.4.2 სასურველია, ფინანსების შესავლის კურსს არ ჰქონდეს წინაპირობა.

პროგრამა 6 (ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი)

1.4.1 სასურველია, სტატისტიკა და ალბათობა ბიზნესისთვის კურსის წინაპირობად განისაზღვროს მათემატიკა II.

პროგრამა 7 (ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები, ბაკალავრიატი)

1.1.1 სასურველია, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს უახლესი ტექნოლოგიები, როგორიცაა ბლოკჩეინი, ფინტეკი და მოწინავე ციფრული ინსტრუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ინდუსტრიასთან.

1.4.1 სასურველია, ბიზნეს კვლევის საფუძვლების კურსი გადატანილი იყოს არჩევითი კურსებიდან სავალდებულო კომპონენტების სიაში.

1.4.2 სასურველი, რისკების მართვის საფუძვლების სწავლება განხორციელდეს საბანკო საქმის სწავლებამდე.

1.4.3 სასურველია, კურსები საბანკო და მონეტარული პოლიტიკა (4 კრედიტი) და საბანკო საქმე (5 კრედიტი) ჩანაცვლდეს ერთი 6-კრედიტიანი კურსით (მათ შორის თემების გადაფარვის თავიდან აცილების მიზნით). აღნიშნულის შედეგად განხორციელდება ფინანსური ინსტიტუტების სილაბუსის კორექტირება.

1.4.4 სასურველია, პროგრამას დაემატოს ბიზნეს ეთიკა და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა.

1.4.5 სასურველია, საბანკო საქმის და დაზღვევის პრინციპების წინაპირობად განისაზღვროს ფინანსების შესავალი.

1.4.6 სასურველია, სტატისტიკა და ალბათობა ბიზნესისთვის კურსის წინაპირობად განისაზღვროს მათემატიკა II.

1.4.7 სასურველია ფინანსური აღრიცხვა განისაზღვროს მენეჯერული ფინანსები I-ის წინაპირობად (ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების ნაცვლად).

პროგრამა 8 (ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი)

1.4.1 სასურველია, ბიზნეს კვლევის საფუძვლების კურსი გადატანილი იყოს არჩევითი კურსებიდან სავალდებულო კომპონენტების სიაში.

1.4.2 სასურველი, რისკების მართვის საფუძვლების სწავლება განხორციელდეს საბანკო საქმის სწავლებამდე.

1.4.3 სასურველია, კურსები საბანკო და მონეტარული პოლიტიკა (4 კრედიტი) და საბანკო საქმე (5 კრედიტი) ჩანაცვლდეს ერთი 6-კრედიტიანი კურსით (მათ შორის თემების გადაფარვის თავიდან აცილების მიზნით). აღნიშნულის შედეგად განხორციელდება ფინანსური ინსტიტუტების სილაბუსის კორექტირება.

1.4.4 სასურველია, პროგრამას დაემატოს ბიზნეს ეთიკა და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა.

1.4.5 სასურველია, საბანკო საქმის და დაზღვევის პრინციპების წინაპირობად განისაზღვროს ფინანსების შესავალი.

1.4.6 სასურველია, სტატისტიკა და ალბათობა ბიზნესისთვის კურსის წინაპირობად განისაზღვროს მათემატიკა II.

1.4.7 სასურველია ფინანსური აღრიცხვა განისაზღვროს მენეჯერული ფინანსები I – ის წინაპირობად (ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების ნაცვლად).

• საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵

არ არის წარმოდგენილი

▪ ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

მე-7 გვერდზე შესაბამისობის შესახებ ინფორმაცია ნაწილობრივ განახლდა მე-3 და მე-4 სტანდარტებისთვის, უმაღლესი სასწავლებლის არგუმენტირებული პოზიციის შესაბამისად.

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

თუმცა, 1-ელი სტანდარტის შესაბამისობა რჩება ისე, როგორც წარმოდგენილი იყო. ეს შეესაბამება ამ სტანდარტის კომპონენტების რეკომენდაციებს.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება⁶
2. კლასტერული შეფასება⁷

სტანდარტი/კომპონენტი	შეფასების მიდგომები
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტების შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული

⁶ **შეფასების მიდგომები:** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

⁷ **შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

- | | |
|---|-----------------------------|
| 4.1. ადამიანური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | კლასტერული |
| 4.4. მატერიალური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | კლასტერული და ინდივიდუალური |

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

- | | |
|--|------------|
| 5.1. შიდა ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.2. გარე ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | კლასტერული |

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ზოგადად, კლასტერში წარმოდგენილი რვავე პროგრამის მიზნები შეესაბამება 1.1 კომპონენტის მოთხოვნებს. მიზნები ძირითადად რეალისტური და მიღწევადია, თითოეული სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით. ისინი ასახავს ცოდნას და უნარებს, რომელთა განვითარებაც განზრახულია პროგრამებით. თუმცა, პროგრამების ზოგიერთი მიზანი ბუნდოვანია და საჭიროებს კორექტირებას, განსაკუთრებით ის მიზნები, რომლებიც უკავშირდება პროგრამების წვლილს საზოგადოების და დარგის განვითარებაში, განსაკუთრებით უახლეს ტექნოლოგიურ მიღწევებთან მიმართებით. თუმცა, აღნიშნული არ არის კრიტიკული წინაღობა მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

როგორც ჩანს, პროგრამებში გათვალისწინებულია ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნები და ტენდენციები, თუმცა შესაძლებელია, რომ აღნიშნული ასპექტები უფრო მკაფიოდ იყოს გამოხატული ზოგიერთი პროგრამის მიზნებში. თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილ ინფორმაციაში მკაფიოდ არ არის წარმოჩენილი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიის და სტრატეგიის შესაბამისობა. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ მიზნებში გარკვეულწილად ასახულია ინტერნაციონალიზაცია, შესაძლებელია, რომ აღნიშნული ასპექტი უფრო თვალსაჩინოდ იყოს წარმოდგენილი ყველა პროგრამაში, განსაკუთრებით პროგრამის მიზნებში.

1.1 კომპონენტის მოთხოვნებთან უკეთ შესაბამისობის გაუმჯობესების მიზნით, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა პროგრამის მიზნები უნდა გახადოს უფრო სპეციფიკური და გაზომვადი, მკაფიოდ წარმოაჩინოს თუ როგორ უწყობს ხელს თითოეული პროგრამა დარგის განვითარებას და საზოგადოების საჭიროებებს. უნივერსიტეტმა ასევე უნდა უზრუნველყოს ყველა მიზნის საჯარო ხელმისაწვდომობა და გაზიარება პროგრამებში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარესთან.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ პროგრამის სპეციფიკური ანალიზი წარმოდგენილია ცალ-ცალკე ოთხი პროგრამისთვის, ვინაიდან პროგრამის მიზნები იდენტურია ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამებისთვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის (ქართულენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

ბიზნესის ადმინისტრირების - აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს აღრიცხვის და აუდიტის სპეციალისტების მომზადებას, რომელიც ეფუძნება ბიზნესის ადმინისტრირების ყოვლისმომცველ პრინციპებს. მისი მიზნები მიმართულია სტუდენტების ანალიტიკური და პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებაზე ფინანსური ანგარიშგების, აუდიტორული პრაქტიკის და ზოგადი ბიზნესის მართვის სფეროში. აღნიშნული მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროებებს და ტენდენციებს, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრის გარკვეულ ელემენტებს.

პროგრამის სტრუქტურა დემონსტრირებს საგანმანათლებლო გამოცდილების ინტერნაციონალიზაციის ძალისხმევას, რაც ასახავს საბაკალავრო დონეზე ბიზნესის ადმინისტრირების დისციპლინის სპეციფიკურ მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ მიზნები მიჩნეულია რეალისტურად და მიღწევად, სასაურველია მკაფიოდ იყოს წარმოჩენილი, თუ როგორ უწყობს მიზნები ხელს დარგის განვითარებას და საზოგადოების წინსვლას. არსებობს მოლოდინი იმისა, რომ კურსდამთავრებულები შეიძენენ ფინანსური ანალიზის და აუდიტის მეთოდოლოგიების მაღალი დონის ცოდნას, რაც მათ მოამზადებს თანამედროვე ბიზნეს გარემოში ადაპტირებისთვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის (ინგლისურენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

პროგრამა შექმნილია აღრიცხვის და აუდიტის სპეციალისტების მოსამზადებლად და უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების მყარ საფუძველს. პროგრამის მიზნები ორიენტირებულია სტუდენტების ანალიტიკური და პრაქტიკული უნარების გაძლიერებაზე ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ფინანსური ანგარიშგება, აუდიტი და ბიზნესის მართვა. აღნიშნული მიზნები შეესაბამება ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ტენდენციებს და ამავდროულად ითვალისწინებს საერთაშორისო შრომის ბაზრის გარკვეულ ასპექტებს.

საგანმანათლებლო ჩარჩო ასახავს სასწავლო გეგმის ინტერნაციონალიზაციას, რომელიც მორგებულია საბაკალავრო დონის ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს უნიკალურ მახასიათებლებზე. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია, ისინი შეიძლება გაუმჯობესდეს დარგის განვითარებაზე გავლენის და საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანის თვალსაზრისით მეტი კონკრეტიკის წარმოჩენით. მოსალოდნელი შედეგები მოიცავს მყარ კომპეტენციას ფინანსური ანალიზის და აუდიტის ტექნიკის მიმართულებით, რაც კურსდამთავრებულებს აღჭურავს თანამედროვე ბიზნეს გამოწვევებთან ეფექტურად გამკლავების უნარებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი (ქართულენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

ბიზნესის ადმინისტრირების - მენეჯმენტის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია ბიზნეს ოპერაციების ფართო ცოდნის, ლიდერული თვისებების და

სტრატეგიული ანალიტიკური უნარების მქონე მომავალი მენეჯერების მომზადებაზე. პროგრამის მიზნები შემუშავებულია როგორც ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროებების, ისე საერთაშორისო შრომის ბაზრის ტენდენციების გარკვეული ასპექტების გათვალისწინებით. აღნიშნული ორმაგი ფოკუსი უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები შეიძენენ რელევანტურ უნარებს, რომლებიც გააძლიერებს მათი დასაქმების შესაძლებლობებს.

პროგრამით გამოიზნული კომპეტენციები მოიცავს გადაწყვეტილების მიღების და ორგანიზაციულ უნარებს, რომლებიც აუცილებელია წარმატებული მენეჯერული საქმიანობისთვის. გარდა ამისა, საგანმანათლებლო ჩარჩო ასახავს ინტერნაციონალიზაციას, რომელიც მორგებულია საბაკალავრო დონის ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს უნიკალურ მახასიათებლებზე. პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

შეჯამების სახით, პროგრამაში ჩართული პირების მიერ ჩამოყალიბებული მიზნები შეესაბამება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ზოგად მისიას და სტრატეგიულ მიზნებს. მიუხედავად ამისა, არსებობს მეტი სიცხადის პოტენციალი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ არის გათვალისწინებული ინტერნაციონალიზაცია მენეჯმენტის განათლებაში. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ეფექტურად მოიცავს მენეჯმენტის ზოგად პრინციპებს, სამეწარმეო უნარებზე ორიენტაციის გაძლიერება მნიშვნელოვნად სასარგებლო იქნება კურსდამთავრებულებისთვის, როდესაც ისინი განავითარებენ კარიერას გლობალურ ბიზნეს გარემოში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

ბიზნესის ადმინისტრირების - მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა შექმნილია მომავალი მენეჯერების მოსამზადებლად, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან ბიზნეს პროცესების საფუძვლიანი ცოდნით, ლიდერული შესაძლებლობებით და სტრატეგიული აზროვნების უნარებით. პროგრამის მიზნები მორგებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებზე და ამავედროულად ასახავს საერთაშორისო შრომის ბაზრის გარკვეულ ტენდენციებს. აღნიშნული შესაბამისობა უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულები კარგად იქნებიან მომზადებულნი სხვადასხვა კარიერული შესაძლებლობისთვის.

პროგრამა მიზნად ისახავს კომპეტენციების მრავალფეროვანი ნაკრების განვითარებას, მათ შორის გადაწყვეტილების მიღების და ორგანიზაციულ უნარებს, რომლებიც გადამწყვეტია ეფექტური მართვისთვის. გარდა ამისა, შესამჩნევია აქცენტი სასწავლო გეგმის ინტერნაციონალიზაციაზე, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, თუ როგორ უკავშირდება ის ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს საბაკალავრო დონეზე. პროგრამის მიზნები საჯაროდ ხელმისაწვდომი და მკაფიოდ ჩამოყალიბებულია, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას პოტენციური სტუდენტებისთვის და დაინტერესებული მხარეებისთვის.

ზოგადად, პროგრამაში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარის მიერ გაზიარებული მიზნები შეესაბამება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიას, მიზნებს და სტრატეგიულ მიმართულებას. თუმცა, შესაძლებელია უფრო დეტალურად იყოს წარმოდგენილი, თუ როგორ რთავს პროგრამა ინტერნაციონალიზაციის ელემენტებს მენეჯმენტის განათლების ჩარჩოში. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა წარმოადგენს ყოვლისმომცველ მენეჯმენტის პროგრამას, მასში სამეწარმეო უნარების გათვალისწინებამ შეიძლება კიდევ უფრო გააძლიეროს დინამიური ბიზნეს გარემოსთვის კურსდამთავრებულების მზაობა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი (ქართულენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

ბიზნესის ადმინისტრირების - მარკეტინგის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს ისეთი კურსდამთავრებულების მომზადებას, რომლებსაც ექნებათ მარკეტინგის საფუძვლების, მომხმარებელთა ქცევის შესწავლის, გაყიდვების მეთოდოლოგიების და ციფრული მარკეტინგის ტაქტიკის მყარი ცოდნა. პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და რეალისტურია, ასახავს როგორც მარკეტინგში, ისე გაყიდვებში მიმდინარე ტენდენციებს. ისინი სპეციფიკურად ეხება დარგის თავისებურებებს და ამავდროულად ავითარებს შესაბამის მარკეტინგულ კომპეტენციებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიზნები ეფუძნება ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ტენდენციებს, საერთაშორისო შრომის ბაზრის გარკვეული ასპექტების გათვალისწინებით.

პროგრამა თავის საგანმანათლებლო სტრუქტურაში ასევე მოიცავს ინტერნაციონალიზაციის ელემენტებს, რაც განსაკუთრებით რელევანტურია საბაკალავრო დონის ბიზნესის ადმინისტრირების დისციპლინისთვის. გარდა ამისა, პროგრამის მიზნები საჯარო და მარტივად ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის. შეჯამების სახით, დაინტერესებული მხარეების მიერ გაზიარებული მიზნები კარგად შეესაბამება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიას, მიზნებს და სტრატეგიულ ჩარჩოს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი (ინგლისურენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

ბიზნესის ადმინისტრირების - მარკეტინგის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს აღჭურვოს კურსდამთავრებულები მარკეტინგის პრინციპების, მომხმარებელთა ქცევის, გაყიდვების ტექნიკის და ციფრული მარკეტინგის სტრატეგიების სრულყოფილი ცოდნით. პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული და მიღწევადია, შეესაბამება მარკეტინგის და გაყიდვების თანამედროვე ტენდენციებს. ისინი ითვალისწინებენ დარგის სპეციფიკურ საჭიროებებს და მიმართულია შესაბამისი მარკეტინგული უნარების განვითარებაზე. გარდა ამისა, მიზნები ასახავს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ტენდენციებს, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრის გარკვეულ ასპექტებს.

პროგრამა თავის საგანმანათლებლო ჩარჩოში ასევე დემონსტრირებს ინტერნაციონალიზაციის გარკვეულ ხარისხს, რაც მნიშვნელოვანია ბაკალავრიატის დონეზე ბიზნესის ადმინისტრირების უნიკალური მახასიათებლების გათვალისწინებით. გარდა ამისა, პროგრამის მიზნები საჯაროდ ხელმისაწვდომია, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას ყველა დაინტერესებული მხარისთვის. მთლიანობაში, პროგრამაში ჩართული პირების მიერ გაზიარებული მიზნები შეესაბამება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიას, მიზნებს და სტრატეგიულ მიმართულებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 (ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები (ქართულენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

ბიზნესის ადმინისტრირების - ფინანსების ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია მომზადოს სტუდენტები, როგორც კვალიფიციური ფინანსური ექსპერტები, რომლებსაც ექნებათ ფინანსური ბაზრების, საინვესტიციო ტაქტიკის და რისკების მართვის პრინციპების მყარი ცოდნა. პროგრამის მიზნები შემუშავებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების და ტენდენციების გათვალისწინებით, ამავდროულად აღიარებს საერთაშორისო შრომის ბაზრის გარკვეულ ასპექტებს.

აღნიშნული მიზნები საჯაროა და ხელმისაწვდომია პროგრამაში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარისთვის, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობას. გარდა ამისა, სასწავლო გეგმაში თვალსაჩინოა ინტერნაციონალიზაციისკენ სწრაფვა, რაც ითვალისწინებს ბაკალავრიატის დონეზე ბიზნესის ადმინისტრირების განათლების სპეციფიკურ მახასიათებლებს. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია უკეთ იყოს წარმოდგენილი, თუ როგორ შეაქვს წვლილი პროგრამის მიზნებს კონკრეტულად საქართველოს ფინანსური სექტორის განვითარებაში და როგორ პასუხობს აღნიშნულ სფეროზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ბოლოდროინდელ ტექნოლოგიურ ინოვაციებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8 (ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები (ინგლისურენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

ბიზნესის ადმინისტრირების - ფინანსების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა შექმნილია იმისათვის, რომ მოამზადოს ფინანსური ექსპერტები, რომლებსაც ექნებათ ფინანსური ბაზრების, საინვესტიციო სტრატეგიების და რისკების მართვის სრულყოფილი ცოდნა. პროგრამის მიზნები მორგებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებზე და ამავდროულად ასახავს საერთაშორისო ფინანსური სფეროს ტენდენციებს. აღნიშნული ორმაგი ორიენტაცია უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულები კარგად იქნებიან მომზადებულები როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ ფინანსურ გარემოში სამოქმედოდ.

პროგრამის მიზნები საჯაროდ ხელმისაწვდომია და შეესაბამება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას. ისინი ხაზს უსვამს ფინანსური განათლების სფეროში შესაბამისი კომპეტენციების განვითარების მნიშვნელობას. ასევე, საგანმანათლებლო პროგრამაში შესამჩნევად ასახულია ინტერნაციონალიზაცია, რაც ითვალისწინებს ბაკალავრიატის დონეზე ბიზნესის ადმინისტრირების უნიკალურ ასპექტებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მიზანში შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს მეტი კონკრეტული საქართველოს ფინანსური სექტორის განვითარებაში შეტანილი წვლილის და ინდუსტრიის ტრანსფორმაციაში ბოლოდროინდელი ტექნოლოგიური მიღწევების კუთხით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული გასაუბრებები;
- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები, სილაბუსები;
- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განმახორციელებელი ადამიანური რესურსები;
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი;
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - <https://ibs.u.edu.ge>

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის წარმოდგენილი

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის წარმოდგენილი

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

1.1.1 სასურველია, გათვალისწინებული იყოს უფრო მკაფიო მითითებები საერთაშორისო აღრიცხვის სტანდარტებზე და პრაქტიკაზე პროგრამის გლობალური შესაბამისობის გასაძლიერებლად.

1.1.2 სასურველია, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს უახლესი ტექნოლოგიები, როგორცაა ბლოკჩეინი, ფინტეკი და მოწინავე ციფრული ინსტრუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ინდუსტრიასთან.

პროგრამა 5 (ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

1.1.1 სასურველია, გათვალისწინებული იყოს სპეციფიკური მიზნები, რომლებიც დაკავშირებულია მონაცემებზე დაფუძნებულ მარკეტინგთან, ციფრულ ანალიტიკასთან და მოწინავე თანამედროვე ტექნოლოგიებთან.

პროგრამა 7 (ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

1.1.1 სასურველია, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს უახლესი ტექნოლოგიები, როგორცაა ბლოკჩეინი, ფინტეკი და მოწინავე ციფრული ინსტრუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ინდუსტრიასთან.

შეფასება ⁸

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია	მეტწილად	ნაწილობრივ	არ არის
1.1 პროგრამის მიზნები	მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან

⁸ შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი, ინგლისურენოვანი, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი, ინგლისურენოვანი, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 5 (ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 6 (ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი, ინგლისურენოვანი, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 7 (ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 8 (ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები, ინგლისურენოვანი, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი ანალიზი ეფუძნება თვითშეფასების ანგარიშში მოცემულ ინფორმაციას, პროგრამასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას და გასაუბრებების დროს მიღებულ პასუხებს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კლასტერში წარმოდგენილი რვა საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობა 1.2 კომპონენტთან - პროგრამის სწავლის შედეგები - წარმოდგენილია შემდეგნაირად.

პროგრამების სწავლის შედეგები შემუშავებულია ისე, რომ იყოს გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური და ასახავდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის კვალიფიკაციის

აღმწერს. ისინი მოიცავს კომპეტენციების ფართო სპექტრს, მათ შორის ანალიტიკურ და კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემების გადაჭრის უნარებს და პროფესიული კომუნიკაციის უნარებს, რაც მნიშვნელოვანია ბიზნეს სამყაროში წარმატების მისაღწევად. უნივერსიტეტმა უზრუნველყო სწავლის შედეგების შესაბამისობა კვალიფიკაციის შესაბამის დონესთან და ბიზნესის ადმინისტრირების თითოეული სპეციალიზაციის სპეციფიკურ მოთხოვნებთან. პროგრამები მიზნად ისახავს გადასცეს კურსდამთავრებულებს თეორიული ცოდნა, ასევე გამოუმუშავოს პრაქტიკული უნარები, რომლებიც შეესაბამება მათ მიერ არჩეულ სფეროს, იქნება ეს აღრიცხვა, მენეჯმენტი, მარკეტინგი თუ ფინანსები.

უნივერსიტეტმა გამოავლინა გარკვეული ვალდებულება სწავლის შედეგების შემუშავების და დახვეწის პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართვის მიმართულებით. აღნიშნული თანამშრომლობითი პროცესი მოიცავს აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების წვლილს, რაც ხელს უწყობს პროგრამების რელევანტურობის შენარჩუნებას და ინდუსტრიის საჭიროებებზე რეაგირებას. თუმცა, არსებობს გასაუმჯობესებელი მიმართულებები, მაგალითად, მკაფიოდ არ არის წარმოჩენილი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა სწავლის შედეგების შემუშავებაში. გასაუმჯობესების დროს ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიიღო მკაფიო მტკიცებულება სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ჩართულობის შესახებ. საბოლოოდ, მიუხედავად იმისა, რომ რვავე პროგრამა ზოგადად შეესაბამება 1.2 კომპონენტის მოთხოვნებს, არსებობს სფეროები, სადაც შესაძლებელია თითოეული პროგრამის გაუმჯობესება კომპონენტის მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების მიზნით. შედეგების გაზომვადობის გაძლიერება, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაზრდა, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და დარგობრივ მახასიათებლებთან მკაფიო შესაბამისობის უზრუნველყოფა კიდევ უფრო გააძლიერებს კლასტერში წარმოდგენილ პროგრამებს.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ პროგრამის კონკრეტული ანალიზი წარმოდგენილია ოთხი პროგრამისთვის ცალ-ცალკე, ვინაიდან პროგრამის სწავლის შედეგები იდენტურია ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამებისთვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის (ქართულენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

ბიზნესის ადმინისტრირების - საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის ქართულენოვანი პროგრამა ამყარებს მჭიდრო კავშირს მის სწავლის შედეგებს და პროგრამის მიზნებს შორის. სასწავლო გეგმა მიზნად ისახავს აღჭურვოს ასტუდენტები აუცილებელი ცოდნით და უნარებით, რომლებიც უკავშირდება აღრიცხვის პრაქტიკას და აუდიტის სტანდარტებს. პროგრამა ორიენტირებულია გაზომვად და მიღწევად სწავლის შედეგებზე, რომლებიც ასახავს მომავალი დასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციებს. თუმცა, კითხვები ჩნდება სასწავლო პროგრამაში მოქნილი უნარების განვითარების დემონსტრირებასთან დაკავშირებით. ასევე, პროგრამის კავშირი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან მოკლებულია მკაფიო დოკუმენტირებას, რამაც შეიძლება უზრუნველყოს მისი ხარისხის და რელევანტურობის დადასტურება. პროგრამის განვითარებაში ასევე მონაწილეობდნენ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები - აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო სწავლის შედეგების შესაბამისობა ინდუსტრიის საჭიროებებთან. აღნიშნული თანამშრომლობითი მიდგომა არა მხოლოდ შეესაბამება დასაქმების მოთხოვნებს, არამედ ხელს უწყობს სტუდენტების შემდგომ საგანმანათლებლო მისწრაფებებს.

დაინტერესებული მხარეები იღებენ ადეკვატურ ინფორმაციას აღნიშნული სწავლის შედეგების შესახებ, რაც ქმნის გამჭვირვალე საგანმანათლებლო გარემოს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის (ინგლისურენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

ბიზნესის ადმინისტრირების - საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის ინგლისურენოვანი პროგრამის სასწავლო გეგმა სტრუქტურირებულია იმგვარად, რომ უზრუნველყოს სწავლის შედეგების მჭიდრო კავშირი პროგრამის მიზნებთან. არსებობს მოლოდინი, რომ სტუდენტები შეიძენენ ყოვლისმომცველ ცოდნას და უნარებს ისეთ ძირითად სფეროებში, როგორიცაა: აღრიცხვის პრინციპები, ფინანსური ანგარიშგება და აუდიტის ტექნიკა. პროგრამა ხაზს უსვამს გაზომვად და მიღწევად შედეგებს, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს ეფექტურად შეაფასონ თავიანთი პროგრესი. თუმცა, უნდა გაუმჯობესდეს მოქნილი უნარების შედეგების გაზომვადობა, რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიული განვითარებისთვის, მაგრამ შესაძლოა მკაფიოდ არ იყოს განსაზღვრული. პროგრამის შესაბამისობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან არ არის მკაფიოდ ასახული წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, რაც გააძლიერებდა გამჭვირვალობას დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობის კუთხით. გარდა ამისა, პროგრამა შემუშავებულია თანამშრომლობითი პროცესით, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები, მათ შორის აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და ინდუსტრიის წარმომადგენლები. აღნიშნული თანამშრომლობა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შესაბამისობას დასაქმების არსებულ მოთხოვნებთან და ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულების პროგრესს განათლების უფრო მაღალ საფეხურზე. ინფორმაცია შედეგების შესახებ ეფექტურად მიეწოდება პროგრამაში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარეს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი (ქართულენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

მენეჯმენტის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ზოგადად კარგად შეესაბამება პროგრამის მიზნებს და დარგის სპეციფიკას. ისინი მოიცავენ მენეჯმენტის თეორიების, გადაწყვეტილების მიღების უნარების და ლიდერობის კომპეტენციების სპექტრს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ დარგისთვის შესაბამისი აუცილებელი ცოდნის და უნარების მიღებას. თუმცა, გამოვლინდა გასაუმჯობესებელი სფეროები. უკეთ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა სწავლის შედეგების შემუშავებაში. სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ჩართულობის მტკიცებულება საკმარისად იყო წარმოდგენილი. გარდა ამისა, ზოგიერთი სწავლის შედეგი შეიძლება ზედმეტად ფართოა, რამაც შეიძლება შექმნას გამოწვევები აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით სტუდენტების მიღწევების ეფექტურად გაზომვის თვალსაზრისით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

მენეჯმენტის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია პროგრამის მიზნების და ინდუსტრიის სტანდარტების შესაბამისად. ისინი მოიცავენ ისეთ ძირითად სფეროებს, როგორიცაა: მენეჯმენტის თეორიები, ანალიტიკური უნარები და ლიდერობის შესაძლებლობები, რომლებიც აუცილებელია გლობალურ ბიზნეს გარემოში

წარმატების მისაღწევად. პროგრამა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების გაზომვადობას და მიღწევადობას, რაც სტუდენტებს აძლევს მკაფიო გზას თავიანთი კომპეტენციების წარმოსაჩენად. გარდა ამისა, შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, რაც ხელს უწყობს დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობის შენარჩუნებას. პროგრამის დიზაინი ასახავს კურსდამთავრებულთა დასაქმების მოთხოვნებს, რაც ხელს უწყობს მათ გადასვლას განათლების შემდგომ საფეხურზე ან პროფესიულ შესაძლებლობებზე. თუმცა, ქართულენოვანი პროგრამის მსგავსად, უნდა გაუმჯობესდეს სწავლის შედეგების შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. მაშინ როცა სასწავლო გეგმა მიზნად ისახავს აკადემიური პერსონალის და ინდუსტრიის პროფესიონალების მოსაზრებების გათვალისწინებას, სტუდენტებისგან და კურსდამთავრებულებისგან უკუკავშირის მიღების უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბებულმა მექანიზმებმა შეიძლება გააძლიეროს აღნიშნული თანამშრომლობითი პროცესი. საერთო ჯამში, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურენოვან პროგრამას ჩამოყალიბებული აქვს სწავლის შედეგების მყარი საფუძველი, მიმდინარე დახვეწა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა გააუმჯობესებს მის ეფექტურობას და რელევანტურობას საგანმანათლებლო და პროფესიული სტანდარტების დაკმაყოფილების კუთხით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი (ქართულენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

ბიზნესის ადმინისტრირების - მარკეტინგის პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია კურსდამთავრებულთა დასაქმების მოთხოვნებთან შესაბამისობის და ბაზრის მიმდინარე ტენდენციების ასახვის მიზნით. აღნიშნული პროგრამა მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორიცაა: ბაზრის კვლევა, მომხმარებელთა ქცევა და ციფრული მარკეტინგის სტრატეგიები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ შესაბამისი უნარების შეძენას. თუმცა, კრიტიკულმა ანალიზმა გამოავლინა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში სწავლის შედეგების პროგრესია შესავალი კურსებიდან უფრო მაღალი დონის კურსებამდე მოკლებულია სიცხადეს. ჩამოყალიბებულია კავშირი დარგობრივ მახასიათებლებთან და აღნიშნულ ასპექტებთან დაკავშირებით ჩატარებული გასაუბრებების დროს ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო დამაკმაყოფილებელი პასუხები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი (ინგლისურენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

ბიზნესის ადმინისტრირების - მარკეტინგის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ანალოგიურად მიზნად ისახავს დასაქმების მოთხოვნების დაკმაყოფილებას მნიშვნელოვანი საბაზრო ტენდენციების გათვალისწინებით. სასწავლო გეგმა მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტებს, როგორიცაა: ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიები და ციფრული მარკეტინგის პრაქტიკა, რომლებიც მნიშვნელოვანია პროგრამის მიზნების მისაღწევად. თუმცა, საფუძვლიანი შემოწმება მიუთითებს, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში უკეთესად შეიძლებოდა ყოფილიყო განსაზღვრული სწავლის შედეგების პროგრესია სხვადასხვა აკადემიურ დონეზე. ასევე, არასათანადოდ არის გათვალისწინებული დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობა, რაც დასტურდება უნივერსიტეტის დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული გასაუბრებების დროს წარმოდგენილი დამაჯერებელი ინფორმაციის ნაკლებობით. საერთო ჯამში, მიუხედავად იმისა, რომ ორივე პროგრამა ცდილობს დააკმაყოფილოს საგანმანათლებლო სტანდარტები და დასაქმებისთვის მზაობა, არსებობს მნიშვნელოვანი ხარვეზები იმის

განსაზღვრაში, თუ როგორ ვითარდება სწავლის შედეგები სასწავლო პროგრამის განმავლობაში და როგორია მათი კავშირი დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 (ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები (ქართულენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

ფინანსების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ზოგადად კარგად შეესაბამება დარგის მოთხოვნებს და მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა: ფინანსური ანალიზი, საინვესტიციო სტრატეგიები და რისკების მართვა. ზოგიერთი მაღალი დონის შედეგის მიღწევადობა და რეალისტურობა შეიძლება საჭიროებდეს დამატებით ანალიზს და შეფასებას. შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა შეიძლება უფრო მკაფიოდ იყოს წარმოჩენილი, განსაკუთრებით უახლესი ფინანსური ტექნოლოგიების შემთხვევაში, რომლებიც გავლენას ახდენენ საფინანსო და საბანკო ინდუსტრიაზე. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა შეიძლება ჩაატაროს და დოკუმენტურად ასახოს რეგულარული ბაზრის მოთხოვნების ანალიზი, რათა უზრუნველყოს პროგრამის სწავლის შედეგების მუდმივი შესაბამისობა ბაზრის მოთხოვნებთან, როგორიცაა უახლესი ტექნოლოგიური ტენდენციები. პროგრამა შექმნილია სტუდენტებისთვის ფინანსური პრინციპების ყოვლისმომცველი ცოდნის უზრუნველსაყოფად, რაც მათ აღჭურავს საჭირო უნარებით ფინანსურ სექტორში სხვადასხვა როლის წარმატებით შესასრულებლად. ინდუსტრიის პროფესიონალებთან და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია აღნიშნული სწავლის შედეგების დასახვეწად, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი შესაბამისობა არსებულ პრაქტიკასთან და მოლოდინებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8 (ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები (ინგლისურენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

ბიზნესის ადმინისტრირების - ფინანსების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ასევე კარგად შეესაბამება პროგრამის მიზნებს, აქცენტს აკეთებს ისეთ მნიშვნელოვან სფეროებზე, როგორიცაა: ფინანსური მოდელირება, კორპორატიული ფინანსები და ეთიკური გადაწყვეტილებების მიღება ფინანსებში. აღნიშნული შედეგები გაზომვადი და მიღწევადია, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს ეფექტურად შეაფასონ თავიანთი პროგრესი კურსის განმავლობაში. პროგრამა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და დარგობრივ მახასიათებლებს, რომლებიც შემუშავებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულები მიიღებენ გლობალურად აღიარებულ კვალიფიკაციებს. გარდა ამისა, სასწავლო გეგმა შექმნილია დასაქმების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რაც კურსდამთავრებულებს საშუალებას აძლევს განაგრძონ უმაღლესი განათლება ან თავდაჯერებულად შევიდნენ პროფესიაში. დაინტერესებულ მხარეებთან - მათ შორის აკადემიურ პერსონალთან, ინდუსტრიის ექსპერტებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან მუდმივი თანამშრომლობა ხელს უწყობს სწავლის შედეგების ჩამოყალიბების პროცესში თანამშრომლობით მიდგომას. აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ ყველა ჩართული მხარე ინფორმირებულია მოლოდინების შესახებ და შეუძლია წვლილი შეიტანოს პროგრამის შესაბამისობის და ეფექტურობის გაუმჯობესებაში. დამსაქმებლებისგან რეგულარულ უკუკავშირს შეუძლია კიდევ უფრო დახვეწოს სასწავლო გეგმა იმისათვის, რომ უკეთ მოამზადოს სტუდენტები საფინანსო ინდუსტრიაში მომავალი გამოწვევებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული გასაუბრებები;
- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები და პროგრამის დანართები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის მსგავს პროგრამებთან შედარების ანალიზი;
- დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გარე ექსპერტის დასკვნა.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის წარმოდგენილი

კლასტერის საერთო რჩევები:

1.2.1 სასურველია, ჩამოყალიბდეს სტრუქტურირებული პროცესი დაინტერესებული მხარეების პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში ჩართულობისთვის.

1.2.2 სასურველია, გადაიხედოს პროგრამის მაღალი დონის სწავლის შედეგები იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას მათი მიღწევადობა პროგრამის ხანგრძლივობის ფარგლებში.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის (ქართულენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

1.2.1 სასურველია, ჩამოყალიბდეს უფრო კონკრეტული, გაზომვადი სწავლის შედეგები მოქნილი უნარებისთვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი (ქართულენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

1.2.1 სასურველია, პროგრამის ფარგლებში შემუშავდეს სწავლის შედეგების მკაფიო პროგრესის რუკა და უზრუნველყოფილი იყოს შედეგების მკაფიო კავშირი შესაბამის დარგობრივ ნიშნულებთან.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი, ინგლისურენოვანი, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი, ინგლისურენოვანი, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 5 (ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 6 (ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი, ინგლისურენოვანი, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 7 (ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 8 (ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები, ინგლისურენოვანი, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა ავლენს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სტრუქტურირებულ მიდგომას, თუმცა არსებობს სფეროები, რომლებიც საჭიროებს შემდგომ განვითარებას და დაზუსტებას. უნივერსიტეტს ჩამოყალიბებული აქვს სწავლის შედეგების გაზომვის მიზნით მონაცემების განსაზღვრის, შეგროვების და ანალიზის სისტემა, რაც მისასაღებელია. თუმცა, შეფასების მექანიზმს გარკვეულ ასპექტებში აკლია კონკრეტულობა, განსაკუთრებით შეფასების სიხშირესთან და მეთოდებთან დაკავშირებით. პროგრამა იყენებს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ

შეფასების მეთოდებს, რაც დადებითი ასპექტია, ვინაიდან იძლევა სტუდენტების მიღწევების ყოვლისმომცველი შეფასების შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, აღნიშნული მეთოდების ზუსტი ბუნება და მათი შესაბამისობა დარგის სპეციფიკურ მოთხოვნებთან შეიძლება უფრო მკაფიოდ იყოს წარმოდგენილი. ნახსენებია გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა შეფასების პროცესში, თუმცა მათი მონაწილეობის მასშტაბი და რეგულარობა ბუნდოვანია. ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრებებისას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოიძია სარწმუნო მონაცემები აღნიშნულ ასპექტთან დაკავშირებით.

ერთ-ერთ პრობლემურ სფეროს წარმოადგენს სწავლის შედეგების შედარების სისტემა. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი აცხადებს, რომ შემუშავებული აქვს ნიშნულები, მათი დადგენის კრიტერიუმები და მათთან შედეგების შედარების პროცესი არ არის საკმარისად დეტალურად აღწერილი თვითშეფასების ანგარიშში და წარმოდგენილ დოკუმენტაციაში. ასეთი სიცხადის ნაკლებობამ შეიძლება ხელი შეუშალოს ნიშნულების ეფექტურ გამოყენებას პროგრამის გასაუმჯობესებლად. უნივერსიტეტი აღნიშნავს, რომ აკადემიური პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, თუმცა მკაფიოდ არ არის განხილული პერსონალისთვის აღნიშნული შედეგების შემუშავების, გაზომვის და ანალიზის უნარების განვითარებაში გაწეული მხარდაჭერის დონე. აღნიშნული აჩენს კითხვებს პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა კურსში შეფასების პროცესის თანმიმდევრულობასთან და ეფექტურობასთან დაკავშირებით.

პროგრამის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სწავლის შედეგების შეფასების უფრო დეტალური და გამჭვირვალე ჩარჩო. აღნიშნული უნდა მოიცავდეს შეფასების კონკრეტულ ვადებს, შედარების მკაფიო კრიტერიუმებს და გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის სტრუქტურირებულ მიდგომას. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინოს აკადემიური პერსონალისთვის ყოვლისმომცველი ტრენინგ პროგრამის განხორციელება შეფასების ეფექტური მეთოდების შემუშავების და განხორციელების უნარების გასაუმჯობესებლად, არსებული ტრენინგების გარდა. ასევე, უნივერსიტეტმა უნდა ჩამოაყალიბოს შეფასების შედეგების გამოყენების უფრო მყარი მექანიზმი პროგრამის გასაუმჯობესებლად. მართალია, ნახსენებია შეფასების შედეგებზე დაყრდნობით პროგრამის სხვადასხვა ასპექტის მოდიფიცირების და განვითარების განზრახვა, აღნიშნული ცვლილებების განხორციელების და მათი ეფექტურობის მონიტორინგის უფრო სისტემური მიდგომა გააძლიერებს ხარისხის უზრუნველყოფის საერთო პროცესს. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები აკმაყოფილებს 1.3 კომპონენტის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული გასაუბრებები;
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქცია;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის წარმოდგენილი

კლასტერის საერთო რჩევები:

1.3.1 სასურველია, შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების უფრო სტრუქტურირებული ციკლი. აღნიშნული უნდა მოიცავდეს მონაცემთა შეგროვების, ანალიზის და შედეგების გამოყენების მკაფიოდ განსაზღვრულ ეტაპებს. დაინერგოს სისტემური მიდგომა სხვადასხვა წყაროდან როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემების შესაგროვებლად, მათ შორის პირდაპირი შეფასებებიდან (მაგ. გამოცდები, პროექტები) და არაპირდაპირი მეთოდებიდან (მაგ. გამოკითხვები, ფოკუს ჯგუფები).

1.3.2 სასურველია, თითოეული სწავლის შედეგისთვის განისაზღვროს კონკრეტული სამიზნე ნიშნულები. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამას დადგენილი აქვს ზოგადი სამიზნე ნიშნულები, სასურველია აღნიშნული ნიშნულები უფრო ზუსტად იყოს განსაზღვრული და შეესაბამებოდეს ინდუსტრიის სტანდარტებს. ასევე რეალისტური და რელევანტური სამიზნე ნიშნულების დადგენის მიზნით, რომლებიც ასახავს ბაზრის მიმდინარე მოთხოვნებს, ტენდენციებს და მოლოდინებს დაწესებულებამ უნდა ითანამშრომლოს გარე დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან.

1.3.3 სასურველია, გაძლიერდეს შეფასების პროცესში გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება გარკვეულწილად თანამშრომლობას დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან, აღნიშნული უნდა იყოს უფრო სისტემატიური და ფორმალიზებული.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი, ინგლისურენოვანი, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი, ინგლისურენოვანი, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐

პროგრამა 5 (ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 6 (ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი, ინგლისურენოვანი, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 7 (ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 8 (ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები, ინგლისურენოვანი, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები შედგენილია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული “საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და განვითარების წესი” (ბრძანება №07/01-05, 13.03.2024)).

პროგრამის შემუშავების და განვითარების პროცესი, არის თანამშრომლობითი და კოორდინირებული საქმიანობა. მასში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე, ბიზნესის სკოლის აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები, რაც დემონსტრირებს თანამშრომლობით მიდგომას და უზრუნველყოფს, რომ პროგრამები აკმაყოფილებს დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებს და საჭიროებებს. შეიძლება ითქვას, რომ პროგრამების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია დარგის მიმდინარე ტენდენციები და შრომის ბაზრის მოთხოვნები, ასევე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები ლოგიკურად არის ერთმანეთთან დაკავშირებული სასწავლო კურსების დონეზე. ყველა პროგრამა მოიცავს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსთვის აუცილებელ სავალდებულო საბაზისო კურსებს, ამავდროულად, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, აქცენტი კეთდება ერთ-ერთ არჩეულ მიმართულებაზე - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი, მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სტრუქტურაში თავისუფალ სავალდებულო კომპონენტისთვის გამოყოფილია 20 კრედიტი, თავისუფალ არჩევით კომპონენტებისთვის 10-15

კრედიტი, ხოლო 145-150 კრედიტი განაწილებულია სპეციალობის სავალდებულო და არჩევით კომპონენტებს შორის. წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამები შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის და ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემის შესაბამისად. პროგრამების შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება განათლების საბაკალავრო საფეხურს, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და პასუხობს დარგის თანამედროვე ხედვას.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს 180 კრედიტს და შედგება 6 აკადემიური სემესტრისგან; 1 კრედიტი მოიცავს 25 საათს. პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წლიური კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უნდა აღემატებოდეს 75 კრედიტს. პროგრამების შინაარსი ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს; გასაუბრებების და პროგრამების დეტალური გაცნობის დროს აღინიშნა უცხოელი პროფესორების ჩართულობა პროგრამების განხორციელებაში და განვითარებაში. კლასტერში წარმოდგენილი ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები ითვალისწინებს ბიზნეს ინგლისურის სავალდებულო სწავლებას (ზოგადი ინგლისური B2.1 და ზოგადი ინგლისური B2.2 კურსების შემდეგ). ასევე, კლასტერში წარმოდგენილი ქართულენოვანი პროგრამების კურსებში ფართოდ გამოიყენება უცხოენოვანი ლიტერატურა. რეკომენდაციის სახით, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ქართულენოვანი პროგრამების სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურის სიაში არ არის გათვალისწინებული უახლესი ხელმისაწვდომი ქართულენოვანი წყაროები.

კლასტერში შემავალი თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა განსაზღვრავს მის ინდივიდუალობას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგები და კურსის შინაარსი ზოგადად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამების სტრუქტურა უმეტესწილად ლოგიკური და თანმიმდევრულია. სწავლების და კვლევის კომპონენტები, ისევე როგორც თითოეული ინდივიდუალური კურსი, ზოგადად დალაგებულია თანმიმდევრულად, რაც უზრუნველყოფს ლოგიკურ პროგრესს.

კლასტერში წარმოდგენილი პროგრამები ითვალისწინებს კვლევის ახალ შედეგებს და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ასევე შესაბამის დონეზე უზრუნველყოფს პროგრამების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

ძირითადად, კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ადეკვატურად არის განსაზღვრული, თუმცა, ზოგიერთ კურსში დაშვების წინაპირობები საჭიროებს უფრო ზუსტად განსაზღვრას ან კორექტირებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის (ქართულენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობა შეადგენს 180 კრედიტს, ხოლო დარგის სავალდებულო კურსები - 130 კრედიტს (ქართულენოვან პროგრამაში, ინგლისურენოვანი პროგრამისგან განსხვავებით, გათვალისწინებულია ბიზნეს ინგლისური). თავისუფალი სავალდებულო კომპონენტის მოცულობა არის 20 კრედიტი და მოიცავს: აკადემიური წერა - 5 კრედიტი; კომპიუტერული უნარები (თვითშეფასების ანგარიშში - საინფორმაციო ტექნოლოგიები) - 5 კრედიტი, ზოგადი ინგლისური (B2.1, B2.2) - 10 კრედიტი; დარგის არჩევითი კურსები მოიცავს 20 კრედიტს, ხოლო თავისუფალი არჩევითი კომპონენტი - 10 კრედიტს.

ბაკალავრის ხარისხის (ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი აღრიცხვასა და აუდიტში) მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 180 კრედიტი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების და შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის აღმწერის დონეზე.

პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კურსები მიზნად ისახავენ სტუდენტისთვის თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარების, პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის გადაცემას და ჩამოყალიბებას, რაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებით.

ძირითადად, დაშვების წინაპირობები ადეკვატურად არის განსაზღვრული პროგრამის მთლიანობის უზრუნველსაყოფად, თუმცა, ზოგიერთ კურსში საჭიროა დაშვების წინაპირობები უფრო ზუსტად იყოს განსაზღვრული.

1. სასურველია, ბიზნესის სტატისტიკის და ალბათობის კურსის წინაპირობად განისაზღვროს მათემატიკა II.
2. სასურველია, საჯარო ფინანსების კურსის წინაპირობად განისაზღვროს ფინანსების შესავალი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის (ინგლისურენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობა შეადგენს 180 კრედიტს, ხოლო დარგის სავალდებულო კურსები - 125 კრედიტს; თავისუფალი სავალდებულო კომპონენტის მოცულობა არის 20 კრედიტი და მოიცავს: აკადემიური წერა - 5 კრედიტი; კომპიუტერული უნარები (თვითშეფასების ანგარიშში - საინფორმაციო ტექნოლოგიები) - 5 კრედიტი, ზოგადი ინგლისური (B2.1, B2.2) - 10 კრედიტი. დარგის არჩევითი კურსები მოიცავს 20 კრედიტს, ხოლო თავისუფალი არჩევითი კომპონენტი - 15 კრედიტს.

ბაკალავრის ხარისხის (ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი აღრიცხვასა და აუდიტში) მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 180 კრედიტი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების და შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის აღმწერის დონეზე.

პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კურსები მიზნად ისახავს სტუდენტისთვის თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარების, პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის გადაცემასა და ჩამოყალიბებას, რაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებით.

თუმცა, პროგრამის ზოგიერთ კურსში საჭიროა უფრო ზუსტად იყოს განსაზღვრული დაშვების წინაპირობები.

1. სასურველია, ბიზნესის სტატისტიკის და ალბათობის კურსის წინაპირობად განისაზღვროს მათემატიკა II.
2. სასურველია, საჯარო ფინანსების კურსის წინაპირობად განისაზღვროს ფინანსების შესავალი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი (ქართულენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობა შეადგენს 180 კრედიტს, ხოლო დარგის სავალდებულო კურსები - 140 კრედიტს (ქართულენოვან

პროგრამაში, ინგლისურენოვანი პროგრამისგან განსხვავებით, გათვალისწინებულია ბიზნეს ინგლისური); თავისუფალი სავალდებულო კომპონენტის მოცულობა არის 20 კრედიტი და მოიცავს: აკადემიური წერა - 5 კრედიტი; კომპიუტერული უნარები (თვითშეფასების ანგარიშში - საინფორმაციო ტექნოლოგიები) - 5 კრედიტი, ზოგადი ინგლისური (B2.1, B2.2) - 10 კრედიტი; დარგის არჩევითი კურსები მოიცავს 10 კრედიტს, ხოლო თავისუფალი არჩევითი კომპონენტი - 10 კრედიტს.

ბაკალავრის ხარისხის (ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში) მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 180 კრედიტი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების და შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის აღმწერის დონეზე.

პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კურსები მიზნად ისახავს სტუდენტისთვის თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარების, პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის გადაცემას და ჩამოყალიბებას, რაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებით.

ძირითადად, პროგრამის მთლიანობის უზრუნველყოფის მიზნით ადეკვატურად არის განსაზღვრული დაშვების წინაპირობები, თუმცა:

1. სასურველია, ბიზნესის სტატისტიკის და ალბათობის კურსის წინაპირობად განისაზღვროს მათემატიკა II.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობა შეადგენს 180 კრედიტს, ხოლო დარგის სავალდებულო კურსები - 135 კრედიტს. თავისუფალი სავალდებულო კომპონენტის მოცულობა არის 20 კრედიტი და მოიცავს: აკადემიური წერა - 5 კრედიტი; კომპიუტერული უნარები (თვითშეფასების ანგარიშში - საინფორმაციო ტექნოლოგიები) - 5 კრედიტი, ზოგადი ინგლისური (B2.1, B2.2) - 10 კრედიტი; დარგის არჩევითი კურსები მოიცავს 15 კრედიტს, ხოლო თავისუფალი არჩევითი კომპონენტი - 10 კრედიტს.

ბაკალავრის ხარისხის (ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში) მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 180 კრედიტი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების და შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის აღმწერის დონეზე. პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კურსები მიზნად ისახავს სტუდენტისთვის თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარების, პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის გადაცემას და ჩამოყალიბებას, რაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებით.

ძირითად ნაწილში, მიღების წინაპირობები ადეკვატურადაა განსაზღვრული, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მთლიანობას, თუმცა:

1. სასურველია, ბიზნესის სტატისტიკის და ალბათობის კურსის წინაპირობად განისაზღვროს მათემატიკა II.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი (ქართულენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობა შეადგენს 180 კრედიტს, ხოლო დარგის სავალდებულო კურსები - 135 კრედიტს (ქართულენოვან პროგრამაში, ინგლისურენოვანი პროგრამისგან განსხვავებით, გათვალისწინებულია ბიზნეს ინგლისური); თავისუფალი სავალდებულო კომპონენტის მოცულობა არის 20 კრედიტი და მოიცავს: აკადემიური წერა - 5 კრედიტი; კომპიუტერული უნარები (თვითშეფასების ანგარიშში - საინფორმაციო ტექნოლოგიები) - 5 კრედიტი, ზოგადი ინგლისური (B2.1, B2.2) - 10 კრედიტი; დარგის არჩევითი კურსები მოიცავს 15 კრედიტს, ხოლო თავისუფალი არჩევითი კომპონენტი - 10 კრედიტს.

ბაკალავრის ხარისხის (ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში) მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 180 კრედიტი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების და შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის აღმწერის დონეზე.

პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კურსები მიზნად ისახავს სტუდენტისთვის თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარების, პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის გადაცემასა და ჩამოყალიბებას, რაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებით.

ძირითადად, პროგრამის მთლიანობის უზრუნველყოფის მიზნით ადეკვატურად არის განსაზღვრული დაშვების წინაპირობები, თუმცა, ზოგიერთ კურსში საჭიროა დაშვების წინაპირობები უფრო ზუსტად იყოს განსაზღვრული.

1. სასურველია, ბიზნესის სტატისტიკის და ალბათობის კურსის წინაპირობად განისაზღვროს მათემატიკა II.
2. სასურველია, ფინანსების შესავალის კურსს არ ჰქონდეს წინაპირობა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი (ინგლისურენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობა შეადგენს 180 კრედიტს, ხოლო დარგის სავალდებულო კურსები - 130 კრედიტს. თავისუფალი სავალდებულო კომპონენტის მოცულობა არის 20 კრედიტი და მოიცავს: აკადემიური წერა - 5 კრედიტი; კომპიუტერული უნარები (თვითშეფასების ანგარიშში - საინფორმაციო ტექნოლოგიები) - 5 კრედიტი, ზოგადი ინგლისური (B2.1, B2.2) - 10 კრედიტი; დარგის არჩევითი კურსები მოიცავს 15 კრედიტს, ხოლო თავისუფალი არჩევითი კომპონენტი - 15 კრედიტს.

ბაკალავრის ხარისხის (ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში) მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 180 კრედიტი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების და შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის აღმწერის დონეზე.

პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კურსები მიზნად ისახავს სტუდენტისთვის თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარების, პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის გადაცემას და ჩამოყალიბებას, რაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებით.

თუმცა:

1. სასურველია, ბიზნესის სტატისტიკის და ალბათობის კურსის წინაპირობად განისაზღვროს მათემატიკა II.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 (ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები (ქართულენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობა შეადგენს 180 კრედიტს, ხოლო დარგის სავალდებულო კურსები - 126 კრედიტს (ქართულენოვან პროგრამაში, ინგლისურენოვანი პროგრამისგან განსხვავებით, გათვალისწინებულია ბიზნეს ინგლისური); თავისუფალი სავალდებულო კომპონენტის მოცულობა არის 20 კრედიტი და მოიცავს: აკადემიური წერა - 5 კრედიტი; კომპიუტერული უნარები - 5 კრედიტი, ზოგადი ინგლისური (B2.1, B2.2) - 10 კრედიტი; დარგის არჩევითი კურსები მოიცავს 24 კრედიტს, ხოლო თავისუფალი არჩევითი კომპონენტი - 10 კრედიტს.

ბაკალავრის ხარისხის (ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში) მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 180 კრედიტი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების და შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის აღმწერის დონეზე.

პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კურსები მიზნად ისახავს სტუდენტისთვის თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარების, პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის გადაცემას და ჩამოყალიბებას, რაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებით.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ზოგიერთი არჩევითი კურსი შეთავაზებული უნდა იყოს როგორც სავალდებულო, ასევე სასურველია პროგრამას დაემატოს ზოგიერთი კურსი. ძირითადად, პროგრამის მთლიანობის უზრუნველყოფის მიზნით ადეკვატურად არის განსაზღვრული დაშვების წინაპირობები, თუმცა, საჭიროა ზოგიერთ კურსში უფრო ზუსტად იყოს განსაზღვრული დაშვების წინაპირობები.

1. სასურველია, საბანკო საქმის და დაზღვევის პრინციპების კურსის წინაპირობად განისაზღვროს ფინანსების შესავალი.
2. სასურველია, ბიზნესის სტატისტიკის და ალბათობის კურსის წინაპირობად განისაზღვროს მათემატიკა II.
3. სასურველია, ფინანსური მენეჯმენტი I - ის წინაპირობად განისაზღვროს ფინანსური აღრიცხვის კურსი (საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპების ნაცვლად).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8 (ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები (ინგლისურენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობა შეადგენს 180 კრედიტს, ხოლო დარგის სავალდებულო კურსები - 121 კრედიტს; თავისუფალი სავალდებულო კომპონენტის მოცულობა არის 20 კრედიტი და მოიცავს: აკადემიური წერა - 5 კრედიტი; კომპიუტერული უნარები - 5 კრედიტი, ზოგადი ინგლისური (B2.1, B2.2) - 10 კრედიტი; დარგის არჩევითი კურსები მოიცავს 29 კრედიტს, ხოლო თავისუფალი არჩევითი კომპონენტი - 10 კრედიტს.

ბაკალავრის ხარისხის (ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში) მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 180 კრედიტი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების და შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის აღმწერის დონეზე.

პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კურსები მიზნად ისახავს სტუდენტისთვის თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარების, პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის

გადაცემას და ფორმირებას, რაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებით.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ზოგიერთი არჩევითი კურსი შეთავაზებული უნდა იყოს როგორც სავალდებულო, ასევე სასურველია პროგრამას დაემატოს ზოგიერთი კურსი. ძირითადად, პროგრამის მთლიანობის უზრუნველყოფის მიზნით ადეკვატურად არის განსაზღვრული დაშვების წინაპირობები, თუმცა, საჭიროა ზოგიერთ კურსში უფრო ზუსტად იყოს განსაზღვრული დაშვების წინაპირობები.

1. სასურველია, საბანკო საქმის და დაზღვევის პრინციპების კურსის წინაპირობად განისაზღვროს ფინანსების შესავალი.
2. სასურველია, ბიზნესის სტატისტიკის და ალბათობის კურსის წინაპირობად განისაზღვროს მათემატიკა II.
3. სასურველია, ფინანსური მენეჯმენტი I- ის წინაპირობად განისაზღვროს ფინანსური აღრიცხვის კურსი (საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპების ნაცვლად).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების წესი;
- კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები თანდართული სილაბუსებით;
- სასწავლო გეგმის რუკა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებ - გვერდი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

1.4.1 რეკომენდებულია, გასწორდეს მინიჭებულ კვალიფიკაციასთან დაკავშირებული შეცდომა - საზოგადოებასთან ურთიერთობის ბაკალავრი (თვითშეფასების ანგარიშის 27-ე გვერდზე (ქართულენოვანი ვერსია) და თვითშეფასების ანგარიშის 26-ე გვერდზე (ინგლისურენოვანი ვერსია)).

1.4.2 რეკომენდებულია, ქართულენოვანი პროგრამების სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალში გათვალისწინებული იყოს უახლესი ქართულენოვანი წყაროები.

კლასტერის საერთო რჩევები:

1.4.1 სასურველია, ზოგიერთ სასწავლო კურსში უფრო ზუსტად განისაზღვროს დაშვების წინაპირობები.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი (ქართულენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

1.4.1 სასურველია, სტატისტიკა და აღბათობა ბიზნესისთვის კურსის წინაპირობად განისაზღვროს მათემატიკა II.

1.4.2 სასურველია, საჯარო ფინანსების კურსის წინაპირობად განისაზღვროს ფინანსების შესავალი.

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

1.4.1 სასურველია, სტატისტიკა და აღბათობა ბიზნესისთვის კურსის წინაპირობად განისაზღვროს მათემატიკა II.

1.4.2 სასურველია, საჯარო ფინანსების კურსის წინაპირობად განისაზღვროს ფინანსების შესავალი.

პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

1.4.1 რეკომენდებულია გასწორდეს შეცდომა: წინაპირობების ცხრილში ორჯერ არის მითითებული სტატისტიკა და აღბათობა ბიზნესისთვის და განსხვავებულია კრედიტების რაოდენობა (5/6 კრედიტი).

1.4.2 რეკომენდებულია გასწორდეს შეცდომა: საბაკალავრო ნაშრომის კრედიტების მოცულობა (6 კრედიტი) არ შეესაბამება საათების საერთო მოცულობას (175 საათი 150-ის ნაცვლად).

რჩევ(ებ)ი:

1.4.1 სასურველია, სტატისტიკა და აღბათობა ბიზნესისთვის კურსის წინაპირობად განისაზღვროს მათემატიკა II.

პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

1.4.1 რეკომენდებულია გასწორდეს შეცდომა: პროგრამაში დარგობრივი არჩევითი კურსების საერთო მოცულობის სახით მითითებულია 10 კრედიტი 15 კრედიტის ნაცვლად (ინგლისურენოვანი დოკუმენტის მე - 20 გვერდზე და ქართულენოვანი დოკუმენტის 25-ე გვერდზე).

1.4.2 რეკომენდებულია გასწორდეს შეცდომა: საბაკალავრო ნაშრომის კრედიტების მოცულობა (6 კრედიტი) არ შეესაბამება საათების საერთო მოცულობას (175 საათი 150-ის ნაცვლად).

1.4.3 რეკომენდებულია გასწორდეს შეცდომა: წინაპირობების ცხრილში ფიქსირდება რამდენიმე შეცდომა კურსების განხორციელების სემესტრებთან დაკავშირებით (მაგ. ფსიქოლოგიის შესავალი - VI სემესტრი III სემესტრის ნაცვლად, ციფრული მარკეტინგის პრინციპები - V სემესტრი IV სემესტრის ნაცვლად).

რჩევ(ებ)ი:

1.4.1 სასურველია, სტატისტიკა და ალბათობა ბიზნესისთვის კურსის წინაპირობად განისაზღვროს მათემატიკა II.

პროგრამა 5 (ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

1.4.1 რეკომენდებულია გასწორდეს შეცდომა: განსხვავებული კრედიტებით არის წარმოდგენილი სტატისტიკა და ალბათობა ბიზნესისთვის (5/6) კრედიტი (წინაპირობების ცხრილის ჩათვლით).

1.4.2 რეკომენდებულია გასწორდეს შეცდომა: პროგრამის რამდენიმე კომპონენტი მონიშნულია ორ სემესტრში ერთი სემესტრის ნაცვლად (მაგ. სტარტაპ აქსელერატორი, საბაკალავრო ნაშრომი, სტაჟირება).

1.4.3 რეკომენდებულია გასწორდეს შეცდომა: არასწორად არის მითითებული საათების საერთო რაოდენობა ინტეგრირებულ მარკეტინგულ კომუნიკაციებში (5 კრედიტი).

1.4.4 რეკომენდებულია გასწორდეს შეცდომა: კურსი “მონაცემთა ანალიზი და მოდელირება ელექტრონული ცხრილებით” ასევე გვხვდება სახელწოდებით “მონაცემთა ანალიზი და ბიზნეს მოდელირება Excel-ში” (მაგ. წინაპირობების ცხრილში).

რჩევ(ებ)ი:

1.4.1 სასურველია, სტატისტიკა და ალბათობა ბიზნესისთვის კურსის წინაპირობად განისაზღვროს მათემატიკა II.

1.4.2 სასურველია, ფინანსების შესავლის კურსს არ ჰქონდეს წინაპირობა.

პროგრამა 6 (ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

1.4.1 რეკომენდებულია გასწორდეს შეცდომა: განსხვავებული კრედიტებით არის წარმოდგენილი სტატისტიკა და ალბათობა ბიზნესისთვის (5/6) კრედიტი (წინაპირობების ცხრილის ჩათვლით).

1.4.2 რეკომენდებულია გასწორდეს შეცდომა: პროგრამის რამდენიმე კომპონენტი მონიშნულია ორ სემესტრში ერთი სემესტრის ნაცვლად (მაგ. სტარტაპ აქსელერატორი, საბაკალავრო ნაშრომი, პრაქტიკა).

1.4.3 რეკომენდებულია გასწორდეს შეცდომა: არასწორად არის მითითებული საათების საერთო რაოდენობა ინტეგრირებულ მარკეტინგულ კომუნიკაციებში (5 კრედიტი).

რჩევ(ებ)ი:

1.4.1 სასურველია, სტატისტიკა და ალბათობა ბიზნესისთვის კურსის წინაპირობად განისაზღვროს მათემატიკა II.

პროგრამა 7 (ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

1.4.1 სასურველია, ბიზნეს კვლევის საფუძვლების კურსი გადატანილი იყოს არჩევითი კურსებიდან სავალდებულო კომპონენტების სიაში.

1.4.2 სასურველი, რისკების მართვის საფუძვლების სწავლება განხორციელდეს საბანკო საქმის სწავლებამდე.

1.4.3 სასურველია, კურსები საბანკო და მონეტარული პოლიტიკა (4 კრედიტი) და საბანკო საქმე (5 კრედიტი) ჩანაცვლდეს ერთი 6-კრედიტიანი კურსით (მათ შორის თემების გადაფარვის თავიდან აცილების მიზნით). აღნიშნულის შედეგად განხორციელდება ფინანსური ინსტიტუტების სილაბუსის კორექტირება.

1.4.4 სასურველია, პროგრამას დაემატოს ბიზნეს ეთიკა და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა.

1.4.5 სასურველია, საბანკო საქმის და დაზღვევის პრინციპების წინაპირობად განისაზღვროს ფინანსების შესავალი.

1.4.6 სასურველია, სტატისტიკა და ალბათობა ბიზნესისთვის კურსის წინაპირობად განისაზღვროს მათემატიკა II.

1.4.7 სასურველია ფინანსური აღრიცხვა განისაზღვროს მენეჯერული ფინანსები I – ის წინაპირობად (საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპების ნაცვლად).

პროგრამა 8 (ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

1.4.1 სასურველია, ბიზნეს კვლევის საფუძვლების კურსი გადატანილი იყოს არჩევითი კურსებიდან სავალდებულო კომპონენტების სიაში.

1.4.2 სასურველი, რისკების მართვის საფუძვლების სწავლება განხორციელდეს საბანკო საქმის სწავლებამდე.

1.4.3 სასურველია, კურსები საბანკო და მონეტარული პოლიტიკა (4 კრედიტი) და საბანკო საქმე (5 კრედიტი) ჩანაცვლდეს ერთი 6-კრედიტიანი კურსით (მათ შორის თემების

გადაფარვის თავიდან აცილების მიზნით). აღნიშნულის შედეგად განხორციელდება ფინანსური ინსტიტუტების სილაბუსის კორექტირება.

1.4.4 სასურველია, პროგრამას დაემატოს ბიზნეს ეთიკა და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა.

1.4.5 სასურველია, საბანკო საქმის და დაზღვევის პრინციპების წინაპირობად განისაზღვროს ფინანსების შესავალი.

1.4.6 სასურველია, სტატისტიკა და ალბათობა ბიზნესისთვის კურსის წინაპირობად განისაზღვროს მათემატიკა II.

1.4.7 სასურველია ფინანსური აღრიცხვა განისაზღვროს მენეჯერული ფინანსები I –ის წინაპირობად (საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპების ნაცვლად).

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი, ინგლისურენოვანი, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი, ინგლისურენოვანი, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 5 (ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 6 (ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი, ინგლისურენოვანი, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 7 (ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 8 (ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები, ინგლისურენოვანი, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სასწავლო კურსებში კრედიტები განაწილებულია 4-6 ECTS კრედიტის ფარგლებში (გამონაკლისის წარმოადგენს პრაქტიკა), სასწავლო კურსების დატვირთვის შესაბამისად. პროგრამა მოიცავს რელევანტურ პრაქტიკას (10 კრედიტი) და საბაკალავრო ნაშრომს (6 კრედიტი). კურსებისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა დიდწილად შეესაბამება კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. საკონტაქტო საათებისა და დამოუკიდებელი მუშაობის გადანაწილება რაციონალური და საკმარისია სწავლის შედეგების მისაღწევად, რაც უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის. თითოეული ინდივიდუალური სასწავლო კურსის შინაარსი მთლიანობაში შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

 - პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
 - პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
-

იბსუ-მ დანერგა აკადემიური პერსონალის შერჩევისა და დანიშვნის სისტემა, რომელიც შეესაბამება საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოს და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებს, სახელწოდებით „იბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქციები). აღნიშნული ორმაგი მიდგომა უზრუნველყოფს აკადემიურ თანამდებობებზე მხოლოდ კვალიფიციურ პირთა დანიშვნას, რაც იცავს როგორც იურიდიულ შესაბამისობას, ასევე უნივერსიტეტის ფაკულტეტის მაღალ სტანდარტებს. ადგილზე ვიზიტის დროს, ასევე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების ანალიზის საფუძველზე დადასტურდა, რომ მათი კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობას.

კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის საათობრივი დატვირთვის გრაფიკი განახლდება ყოველ სემესტრში. სქემა მოიცავს სწავლების, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა დატვირთვის კომპონენტებს, ასევე ითვალისწინებს დატვირთვას ყველა იმ დაწესებულებაში, სადაც ისინი აკადემიურ ან სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობენ. იბსუ-ში პროფესორის მაქსიმალური სალექციო დატვირთვა შეადგენს კვირაში 15 საათს. თუმცა, ეს დატვირთვა შესაძლებელია დარეგულირდეს რექტორთან შეთანხმებით (დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ აკადემიური დატვირთვისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის რეგულაცია). დამატებითი დატვირთვის მოთხოვნები მოიცავს საკონსულტაციო საათებს - აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს მოეთხოვება, ყოველ კვირში სტუდენტებთან 2 საათიანი საკონსულტაციო შეხვედრის ჩატარება.

საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ლექტორები არიან სხვადასხვა მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების ავტორები, თანაავტორები, რედაქტორები და თარჯიმნები; ისინი ასევე მონაწილეობდნენ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. ექსპერტთა ჯგუფმა, კლასტერში გაერთიანებული სასწავლო პროგრამების სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, აღნიშნა, რომ სტუდენტთა აზრით, ადამიანური რესურსები კარგად იყო ორგანიზებული სასწავლო კურსების მოთხოვნების საუკეთესოდ მხარდასაჭერად, მათ შორის მხარდამჭერი და ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამებს ამჟამად აკლია აკადემიური და მოწვეული პერსონალის კარგად დაბალანსებული სტრუქტურა, ვინაიდან მკვეთრად არის გადახრილი მოწვეული პერსონალის მხარეს. აღნიშნულმა უარყოფითმა თანაფარდობამ შეიძლება გავლენა იქონიოს პროგრამის სტაბილურობაზე და სპეციალისტების უწყვეტობაზე, რადგან დაბალანსებული აკადემიური შემადგენლობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია აკადემიური თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად, კვლევითი ინიციატივების მხარდასაჭერად და სტუდენტებისთვის სტაბილური სასწავლო გარემოს შესაქმნელად. აღნიშნული დისბალანსის მოგვარება ხელს შეუწყობს პროგრამის ხარისხის და მდგრადობის გრძელვადიან გაძლიერებას. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის დისბალანსი გამოწვეულია დამატებითი მოწვეული პერსონალის საჭიროებით რამდენიმე პარალელური ჯგუფის არსებობის დროს. ვიზიტის დროს, როგორც მოწვეულმა, ისე აკადემიურმა პერსონალმა გაუსვა ხაზი მათ ერთობლივ ძალისხმევას პროგრამისა და სილაბუსების სწავლის შედეგების მიღწევისა და კოორდინაციის უზრუნველსაყოფად.

საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები ავლენენ საჭირო ცოდნასა და კვალიფიკაციას საგანმანათლებლო კურიკულუმების შესამუშავებლად. მათი კვალიფიკაცია დასტურდება ბიზნესის ადმინისტრირების შესაბამისი ხარისხებითა და ფართო პრაქტიკული გამოცდილებით.

აღწერა და ანალიზი

პროგრამა 1 - ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი საბაკალავრო პროგრამა

პროგრამა მხარდაჭერილია კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალის გუნდის მიერ, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი პედაგოგიური და პროფესიული გამოცდილება შესაბამის სფეროებში. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება როგორც კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს, ასევე უნივერსიტეტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აკადემიური გუნდი მოიცავს:

- 4 პროფესორს (აქედან 1 აფილირებული)
- 8 ასოცირებულ პროფესორს (აქედან 7 აფილირებული)
- 2 ასისტენტ პროფესორს

მოწვეული პერსონალის რაოდენობა არის 58.

საგანმანათლებლო პროგრამას ხელმძღვანელობს პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი, რომლებსაც გააჩნიათ აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება პროგრამის ეფექტური განვითარებისათვის. გარდა ამისა, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კარგად სტრუქტურირებული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გუნდი, რომლის რაოდენობა საკმარისია და რომელსაც გააჩნია საჭირო კომპეტენციები. ეს სრულყოფილი მხარდაჭერის სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან ფუნქციონირებას, მისი აკადემიური და ადმინისტრაციული მიზნების შესაბამისად.

პროგრამა 1 (ბიზნეს ადმინისტრირება – საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ⁹	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ¹⁰	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	14	14	13	10
- პროფესორი	4	4	3	1
- ასოცირებული პროფესორი	8	8	8	7
- ასისტენტ-პროფესორი	2	2	2	2
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	58	58	30	–
სამეცნიერო პერსონალი				–

პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამა

პროგრამა მხარდაჭერილია კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალის გუნდის მიერ, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი პედაგოგიური და პროფესიული გამოცდილება შესაბამის სფეროებში. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება როგორც კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს, ასევე უნივერსიტეტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აკადემიური გუნდი მოიცავს:

- 3 პროფესორს
- 10 ასოცირებულ პროფესორს (აქედან 9 აფილირებული)
- 4 ასისტენტ პროფესორს (აქედან 4 აფილირებული)

მოწვეული პერსონალის რაოდენობა არის 35.

საგანმანათლებლო პროგრამას ხელმძღვანელობს პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი, რომლებსაც გააჩნიათ აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება პროგრამის ეფექტური განვითარებისათვის. გარდა ამისა, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კარგად სტრუქტურირებული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გუნდი, რომლის

⁹ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

¹⁰ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

რაოდენობა საკმარისია და რომელსაც გააჩნია საჭირო კომპეტენციები. ეს სრულყოფილი მხარდაჭერის სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან ფუნქციონირებას, მისი აკადემიური და ადმინისტრაციული მიზნების შესაბამისად.

პროგრამა 2 (ბიზნეს ადმინისტრირება – საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი, ინგლისურენოვანი, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ¹¹	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ¹²	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	17	17	15	13
- პროფესორი	3	3	3	-
- ასოცირებული პროფესორი	10	10	9	9
- ასისტენტ-პროფესორი	4	4	3	4
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	35	35	18	-
სამეცნიერო პერსონალი				-

პროგრამა 3- ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი საბაკალავრო პროგრამა

პროგრამა მხარდაჭერილია კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალის გუნდის მიერ, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი პედაგოგიური და პროფესიული გამოცდილება შესაბამის სფეროებში. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება როგორც კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს, ასევე უნივერსიტეტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აკადემიური გუნდი მოიცავს:

- 6 პროფესორს (აქედან 3 აფილირებული)
- 11 ასოცირებულ პროფესორს (აქედან 9 აფილირებული);
- 1 ასისტენტ პროფესორს (აქედან 1 აფილირებული)

მოწვეული პერსონალის რაოდენობა არის 40.

საგანმანათლებლო პროგრამას ხელმძღვანელობს პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი, რომლებსაც გააჩნიათ აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება პროგრამის

¹¹ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

¹² საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

ეფექტური განვითარებისათვის. გარდა ამისა, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კარგად სტრუქტურირებული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გუნდი, რომლის რაოდენობა საკმარისია და რომელსაც გააჩნია საჭირო კომპეტენციები. ეს სრულყოფილი მხარდაჭერის სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან ფუნქციონირებას, მისი აკადემიური და ადმინისტრაციული მიზნების შესაბამისად.

პროგრამა 3 (ბიზნეს ადმინისტრირება – მენეჯმენტი, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი¹³	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი¹⁴	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	18	18	5	13
- პროფესორი	6	6	3	3
- ასოცირებული პროფესორი	11	11	1	9
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	40	40	15	–
სამეცნიერო პერსონალი				–

პროგრამა 4 - ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამა

პროგრამა მხარდაჭერილია კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალის გუნდის მიერ, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი პედაგოგიური და პროფესიული გამოცდილება შესაბამის სფეროებში. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება როგორც კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს, ასევე უნივერსიტეტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აკადემიური გუნდი მოიცავს:

- 6 პროფესორს (აქედან 3 აფილირებული)
- 9 ასოცირებულ პროფესორს (აქედან 7 აფილირებული)

¹³ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

¹⁴ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- 2 ასისტენტ პროფესორს (აქედან 2 აფილირებული)

მოწვეული პერსონალის რაოდენობა არის 31.

საგანმანათლებლო პროგრამას ხელმძღვანელობს პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი, რომლებსაც გააჩნიათ აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება პროგრამის ეფექტური განვითარებისათვის. გარდა ამისა, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კარგად სტრუქტურირებული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გუნდი, რომლის რაოდენობა საკმარისია და რომელსაც გააჩნია საჭირო კომპეტენციები. ეს სრულყოფილი მხარდაჭერის სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან ფუნქციონირებას, მისი აკადემიური და ადმინისტრაციული მიზნების შესაბამისად.

პროგრამა 4 (ბიზნეს ადმინისტრირება – მენეჯმენტი, ინგლისურენოვანი, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ¹⁵	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით აოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ¹⁶	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	17	17		12
- პროფესორი	6	6	5	3
- ასოცირებული პროფესორი	9	9	7	7
- ასისტენტ-პროფესორი	2	2	2	2
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	31		14	–
სამეცნიერო პერსონალი				–

პროგრამა 5 - ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი საბაკალავრო პროგრამა

¹⁵ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

¹⁶ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

პროგრამა მხარდაჭერილია კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალის გუნდის მიერ, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი პედაგოგიური და პროფესიული გამოცდილება შესაბამის სფეროებში. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება როგორც კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს, ასევე უნივერსიტეტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აკადემიური გუნდი მოიცავს:

- 4 პროფესორს (აქედან 1 აფილირებული)
- 9 ასოცირებულ პროფესორს (აქედან 8 აფილირებული)
- 1 ასისტენტ პროფესორს (აქედან 1 აფილირებული)

მოწვეული პერსონალის რაოდენობა არის 53.

საგანმანათლებლო პროგრამას ხელმძღვანელობს პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი, რომლებსაც გააჩნიათ აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება პროგრამის ეფექტური განვითარებისათვის. გარდა ამისა, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კარგად სტრუქტურირებული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გუნდი, რომლის რაოდენობა საკმარისია და რომელსაც გააჩნია საჭირო კომპეტენციები. ეს სრულყოფილი მხარდაჭერის სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან ფუნქციონირებას, მისი აკადემიური და ადმინისტრაციული მიზნების შესაბამისად.

პროგრამა 5 (ბიზნეს ადმინისტრირება – მარკეტინგი, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ¹⁷	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ¹⁸	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	14	14	13	10
- პროფესორი	4	4	4	1
- ასოცირებული პროფესორი	9	9	8	8
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	53	53	27	–

¹⁷ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

¹⁸ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

სამეცნიერო პერსონალი				–
-------------------------	--	--	--	---

პროგრამა 6 - ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამა

პროგრამა მხარდაჭერილია კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალის გუნდის მიერ, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი პედაგოგიური და პროფესიული გამოცდილება შესაბამის სფეროებში. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება როგორც კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს, ასევე უნივერსიტეტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აკადემიური გუნდი მოიცავს:

- 3 პროფესორს
- 10 ასოცირებულ პროფესორს (აქედან 9 აფილირებული);
- 2 ასისტენტ პროფესორს (აქედან 2 აფილირებული)

მოწვეული პერსონალის რაოდენობა არის 28.

საგანმანათლებლო პროგრამას ხელმძღვანელობს პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი, რომლებსაც გააჩნიათ აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება პროგრამის ეფექტური განვითარებისათვის. გარდა ამისა, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კარგად სტრუქტურირებული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გუნდი, რომლის რაოდენობა საკმარისია და რომელსაც გააჩნია საჭირო კომპეტენციები. ეს სრულყოფილი მხარდაჭერის სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან ფუნქციონირებას, მისი აკადემიური და ადმინისტრაციული მიზნების შესაბამისად.

პროგრამა 6 - (ბიზნეს ადმინისტრირება - მარკეტინგი, ინგლისურენოვანი, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ¹⁹	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ²⁰	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	15	15	14	11
- პროფესორი	3	3	3	-
- ასოცირებული პროფესორი	10	10	8	9
- ასისტენტ-პროფესორი	2	2	2	2

¹⁹ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

²⁰ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	28	28	13	–
სამეცნიერო პერსონალი				–

პროგრამა 7 - ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები საბაკალავრო პროგრამა

პროგრამა მხარდაჭერილია კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალის გუნდის მიერ, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი პედაგოგიური და პროფესიული გამოცდილება შესაბამის სფეროებში. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება როგორც კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს, ასევე უნივერსიტეტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აკადემიური გუნდი მოიცავს:

- 4 პროფესორს (აქედან 1 ავილირებული)
- 8 ასოცირებულ პროფესორს (აქედან 7 ავილირებული)
- 1 ასისტენტ პროფესორს (აქედან 1 ავილირებული)

მოწვეული პერსონალის რაოდენობა არის 51.

საგანმანათლებლო პროგრამას ხელმძღვანელობს პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი, რომლებსაც გააჩნიათ აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება პროგრამის ეფექტური განვითარებისათვის. გარდა ამისა, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კარგად სტრუქტურირებული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გუნდი, რომლის რაოდენობა საკმარისია და რომელსაც გააჩნია საჭირო კომპეტენციები. ეს სრულყოფილი მხარდაჭერის სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან ფუნქციონირებას, მისი აკადემიური და ადმინისტრაციული მიზნების შესაბამისად.

პროგრამა 7 (ბიზნეს ადმინისტრირება – ფინანსები, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ²¹	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ²²	მათ შორის, ავილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	13	13	12	9
- პროფესორი	4	4	3	1

²¹ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

²² საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- ასოცირებული პროფესორი	8	8	8	7
- ასისტენტ პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	51	51	21	–
სამეცნიერო პერსონალი				–

პროგრამა 8 - ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამა

პროგრამა მხარდაჭერილია კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალის გუნდის მიერ, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი პედაგოგიური და პროფესიული გამოცდილება შესაბამის სფეროებში. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება როგორც კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს, ასევე უნივერსიტეტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აკადემიური გუნდი მოიცავს:

- 4 პროფესორს (აქედან 1 აფილირებული)
- 9 ასოცირებულ პროფესორს (აქედან 9 აფილირებული)
- 2 ასისტენტ პროფესორს (აქედან 2 აფილირებული)

ამოწვეული პერსონალის რაოდენობა არის 27.

საგანმანათლებლო პროგრამას ხელმძღვანელობს პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი, რომლებსაც გააჩნიათ აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება პროგრამის ეფექტური განვითარებისათვის. გარდა ამისა, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კარგად სტრუქტურირებული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გუნდი, რომლის რაოდენობა საკმარისია და რომელსაც გააჩნია საჭირო კომპეტენციები. ეს სრულყოფილი მხარდაჭერის სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან ფუნქციონირებას, მისი აკადემიური და ადმინისტრაციული მიზნების შესაბამისად.

პროგრამა 8 (ბიზნეს ადმინისტრირება – ფინანსები, ინგლისურენოვანი, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური,	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ²³	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ²⁴	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი

²³ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

²⁴ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)				
სულ აკადემიური პერსონალი	15	15	14	12
- პროფესორი	4	4	4	1
- ასოცირებული პროფესორი	9	9	8	9
- ასისტენტ- პროფესორი	2	2	2	2
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	27	27	9	–
სამეცნიერო პერსონალი				–

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- იბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- დებულება აკადემიური დატვირთვისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ;
- სამუშაო აღწერილობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- გასაუბრების შედეგები;
- იბსუ-ს ვებ-გვერდი - <https://ibsu.edu.ge>

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: 4.1.1 რეკომენდებულია, პროგრამების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

კლასტერის ზოგადი რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი, ბაკალავრიატი)	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი, ინგლისურენოვანი, ბაკალავრიატი)	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)	☐	X	☐	☐
პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი, ინგლისურენოვანი, ბაკალავრიატი)	☐	X	☐	☐
პროგრამა 5 (ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი, ბაკალავრიატი)	☐	X	☐	☐
პროგრამა 6 (ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი, ინგლისურენოვანი, ბაკალავრიატი)	☐	X	☐	☐
პროგრამა 7 (ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები, ბაკალავრიატი)	☐	X	☐	☐
პროგრამა 8 (ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები, ინგლისურენოვანი, ბაკალავრიატი)	☐	X	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

არ შეესაბამება ბაკალავრიატის კლასტერს

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

პროგრამა 1 (დასახელება, საფეხური)

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები ²⁵	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			—
სამეცნიერო პერსონალი			—

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

²⁵ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ შეესაბამება ბაკალავრიატის კლასტერს

კლასტერის ზოგადი რჩევები: არ შეესაბამება ბაკალავრიატის კლასტერს

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ შეესაბამება

ბაკალავრიატის კლასტერს

შეფასება

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (სახელწოდება,	☐	☐	☐	☐
პროგრამა 2 (სახელწოდება,	☐	☐	☐	☐
პროგრამა 3 (სახელწოდება,	☐	☐	☐	☐
პროგრამა 4 (სახელწოდება,	☐	☐	☐	☐
პროგრამა 5 (სახელწოდება,	☐	☐	☐	☐
პროგრამა 6 (სახელწოდება, საფეხური)	☐	☐	☐	☐
პროგრამა 7 (სახელწოდება,	☐	☐	☐	☐
პროგრამა 8 (სახელწოდება,	☐	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას სისტემატური შეფასების მექანიზმებისა

და კომპლექსური მხარდაჭერის გზით აკადემიური პერსონალის კომპეტენციებისა და სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესების პროცესში.

უნივერსიტეტი ამას აფასებს პერსონალის კომპეტენციებზე აქცენტით მათი საქმიანობისა და სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანალიზის საფუძველზე. სპეციალური ყურადღება ექცევა პერსონალის ჩართვას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და სტატიების გამოქვეყნებას, იმ პირობით, რომ მოხდება მათი საქმიანობის სიღრმისეული შეფასება და გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება.

შეფასების კრიტერიუმები შედგება ორი ნაწილისაგან: პედაგოგიური და აკადემიური საქმიანობა. პედაგოგიური საქმიანობა ფასდება თითოეული სემესტრის ბოლოს სტუდენტების მიერ შევსებული კითხვარების საშუალებით, რომლებიც აფასებს სწავლის პროცესის სხვადასხვა განზომილებას: კურსის მასალების გამოყენებას, სილაბუსის დაცვას, სწავლის მიზნების მიღწევას და შეფასების მეთოდოლოგიების სათანადო ჩამოყალიბებას. სტუდენტების შეფასებების გადამოწმების აუცილებლობის შემთხვევაში, უნივერსიტეტს შეუძლია გამოიყენოს საჯარო დასწრების მეთოდი ლექციებზე-სემინარებზე, სადაც პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის სამსახურის წარმომადგენელი პირდაპირ ესწრება სასწავლო პროცესს და აფასებს ლექტორის საქმიანობას. ამ ანალიზის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ გაცემულია რეკომენდაციები, რათა დაეხმაროს სასწავლო პროგრამებს უკეთესი სტანდარტების მიღწევაში. სტუდენტებისთვის არ არის სავალდებულო სემესტრის დასრულებისას კითხვარების შევსებით უკუკავშირის გაზიარება.

პროფესიული განვითარების მხარდაჭერა არ სრულდება შეფასებით; უნივერსიტეტის მეშვეობით, თანამშრომლებს ეძლევათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონფერენციებში და გამოაქვეყნონ თავიანთი კვლევა რეფერირებად ჟურნალებში. დამატებით, უნივერსიტეტი რეგულარულად აწყობს მასტერკლასებს, სამუშაო შეხვედრებს და სხვა სასწავლო აქტივობებს თანამშრომლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ამ აქტივობების უმეტესობა ფოკუსირებულია წინა შეფასებებისას გამოვლენილ ასპექტებზე, შესაბამისად, გარანტირებულია აკადემიური პერსონალისა და მოწვეული თანამშრომლების მუდმივი პროფესიული განვითარება. კვლევითი საქმიანობა წახალისებულია ქულებრივი სისტემით, რომლის მიხედვით ფაკულტეტის წევრებს ევალებათ გარკვეული ქულების დაგროვება შეფასების დასაკმაყოფილებლად.

იბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს ყოველი აკადემიური თანამშრომლის კვლევით საქმიანობას სასწავლო წლის ბოლოს. ამ მხრივ, ფაკულტეტის წევრებმა უნდა წარმოადგინონ წლიური ანგარიში თავიანთ აკადემიურ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს მონაცემებს სტატიების, პუბლიკაციების, განხორციელებული პროექტებისა და კონფერენციებში მონაწილეობის შესახებ. ანგარიშის თითოეულ კომპონენტს აქვს სპეციფიკური ქულები უნივერსიტეტის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. მინიმალური ქულები, რომლებიც მოთხოვნილია აკადემიური წლის განმავლობაში, შემდეგნაირია: ასისტენტი – 4 ქულა; ასისტენტ-პროფესორი – 10 ქულა; ასოცირებული პროფესორი – 20 ქულა; ხოლო პროფესორი – 40 ქულა. ამ ქულების სულ მცირე 50% უნდა მოდიოდეს სამეცნიერო საქმიანობაზე.

იბსუ მიზნად ისახავს სტუდენტებისა და პედაგოგებისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო გარემოს უზრუნველყოფას, რაც ხელს შეუწყობს მათი სრული პოტენციალის რეალიზებას განათლებისა და კვლევის სფეროში მაღალი სტანდარტების დაცვით. სხვა

ვალდებულება გულისხმობს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვას, ნებისმიერი იმ საქმიანობის უარყოფას, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის აკადემიური თავისუფლებისა თუ მორალის პრინციპებთან, და თავისი პერსონალის დაცვას საგანმანათლებლო კანონმდებლობასთან მიმართებაში. უნივერსიტეტის მენეჯმენტი მუდმივად მუშაობს სწავლებისა და განვითარების კამპუსური კულტურის ჩამოყალიბებაზე, რათა გააუმჯობესოს პერსონალის ცოდნა და სწავლების შედეგები. გარდა ამისა, იგი მოწოდებულია განავითაროს ფაკულტეტის კომპეტენციები მეცნიერების ინტეგრირებით და მაღალკვალიფიციური ლექტორების მოზიდვით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან;
- სტუდენტებთან გასაუბრება;
- გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები და პუბლიკაციები;
- ხარისხის კვლევის ანგარიშები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის ზოგადი რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი, ბაკალავრიატი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი, ინგლისურენოვანი, ბაკალავრიატი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)	X	☐	☐	☐

პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი, ინგლისურენოვანი, ბაკალავრიატი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 5 (ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი, ბაკალავრიატი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 6 (ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი, ინგლისურენოვანი, ბაკალავრიატი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 7 (ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები, ბაკალავრიატი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 8 (ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები, ინგლისურენოვანი, ბაკალავრიატი)	X	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა შექმნა თანამედროვე გარემო, რომელიც ერთდროულად უწყობს ხელს სწავლასა და კვლევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება კამპუსში, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით. აუდიტორიები აღჭურვილია ყველა საჭირო ინსტრუმენტით, რაც უზრუნველყოფს ლექციების სათანადო ჩატარებას. აუდიტორიები აღჭურვილია თანამედროვე მოწყობილობებითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) მასალებით, მათ შორის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვილი კომპიუტერებით და პროექტორებით, რომლებიც გამოიყენება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში. ეს იძლევა პრაქტიკული სწავლების შესაძლებლობას, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია კლასტერული პროგრამების სტუდენტებისთვის პრაქტიკული გამოცდილების მისაღებად.

რესურსები და მათი გამოყენების წესები სტუდენტებს გაცნობითი ტრენინგის დროს მიეწოდებათ. უნივერსიტეტი ითვალისწინებს ტექნიკური აღჭურვილობის, მაგალითად კომპიუტერებისა და სხვა შესაბამისი ინფრასტრუქტურის განსაზღვრულ თანაფარდობას სტუდენტთა რაოდენობასთან, იმგვარად, რომ თითოეულ სტუდენტს ჰქონდეს აღჭურვილობის გონივრული გამოყენების საშუალება. ამ თანაფარდობის დაცვა უზრუნველყოფს, რომ ყველა სტუდენტს შეეძლოს კამპუსის ტექნიკური საშუალებების მარტივი გამოყენება აკადემიური და

სამეცნიერო მიზნებისთვის, რასაც ხელს უწყობს უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული პროგრამები.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აღჭურვილია თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და საშუალებებით და მოიცავს ინდივიდუალურ მაგიდებსა და სამუშაო სივრცეებს სტუდენტებისა და პერსონალისთვის. იბსუ პარტნიორობს არაკომერციულ იურიდიულ პირთან - საქართველოს ბიბლიოთეკების ასოციაციასთან და გააჩნია წვდომა წამყვან გლობალურ საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზებთან. ბიბლიოთეკა ასევე უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა უახლეს სამეცნიერო ჟურნალებსა და საგანმანათლებლო ინფორმაციაზე, რაც მნიშვნელოვანია მათი პროგრამების სწავლის შედეგების მისაღწევად.

ფაკულტეტის ელექტრონული კატალოგი მარტივად ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რაც თავის მხრივ, საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირებს გადახედონ მასალების მრავალფეროვნებას ავტორის, სათაურის ან თემის მიხედვით. ასეთი სისტემა შექმნილია იმისთვის, რომ სტუდენტებისა და ფაკულტეტის წევრებისთვის გაადვილდეს ბიბლიოთეკის რესურსების ძებნა და გამოყენება. გარდა ამისა, დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა, ჩამოტვირთოს უახლესი სამეცნიერო ჟურნალები და საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზები. ასეთი წვდომის საშუალებით სტუდენტებს შეუძლიათ პირველები გაეცნონ უახლეს სამეცნიერო ინფორმაციას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პროგრამის სწავლის შედეგებისთვის.

უნივერსიტეტმა გარდაქმნა თავისი რესურსები დისტანციური სწავლების წვდომის მოთხოვნების შესაბამისად. ჰკვიანი სისტემა შეიძლება იყოს სტუდენტის ძირითადი არჩევანი დისტანციური საშუალებებით მთელი საჭირო ლიტერატურის დაუბრკოლებლად მიღებისთვის, შედეგად მათ გარანტირებულად შეუძლიათ სწავლა ადგილმდებარეობის მიუხედავად. ამგვარად, სტუდენტები ინარჩუნებენ თანამედროვე სამეცნიერო ცოდნას, როგორც მათ პროგრამებშია მითითებული.

მეწარმეობის ლაბორატორია, რომლის გახსნასაც აპირებს უნივერსიტეტი, შემუშავებულია კლასტერული პროგრამების მხარდასაჭერად პრაქტიკული კომპონენტების ინტეგრაციისა და ინდუსტრიასთან პარტნიორობის გაძლიერების გზით. აკადემიური პერსონალის უკუკავშირის საფუძველზე, შემოთავაზებულია, რომ მეწარმეობის ლაბორატორიის სტრატეგია შემუშავდეს სტუდენტებთან თანამშრომლობით. ეს მიდგომა მიზნად ისახავს ლაბორატორიის პოზიციონირებას ინოვაციების ცენტრად, სადაც სხვადასხვა კლასტერული პროგრამის სტუდენტები - მაგალითად, მარკეტინგის, მენეჯმენტის და ფინანსების - ერთობლივად იმუშავებენ რეალურ სამყაროსთან დაკავშირებულ პროექტებზე, შეიძენენ პრაქტიკულ მეწარმულ უნარ-ჩვევებს.

ამ ხედვის მისაღწევად, შემოთავაზებულია სპეციალიზებული ლაბორატორიების შექმნა მეწარმეობის ლაბორატორიის ფარგლებში, რომელთაგან თითოეული კონცენტრირებული იქნება კრიტიკულ სფეროებზე, მაგალითად: მარკეტინგი, მენეჯმენტის კონსულტაცია, ციფრული ტრანსფორმაცია და ფინანსები. ეს სპეციალიზებული ლაბორატორიები სტუდენტებს შესთავაზებს მორგებულ გამოცდილებასა და პრაქტიკულ სწავლებას.

დამატებით, დარგის ექსპერტების, წარმატებული მეწარმეებისა და აკადემიური პერსონალის პერსონიფიცირებული მენტორობა იქნება ლაბორატორიის განუყოფელი ნაწილი. ეს მენტორობა დაეხმარება სტუდენტებს ბიზნესის შექმნის პროცესში, პროექტების განვითარებაში

და თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გარემოში გამოყენებაში. აღნიშნული სტრუქტურული მიდგომა ხელს შეუწყობს ინოვაციისა და მეწარმეობის გარემოს ჩამოყალიბებას, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს განივითარონ თანამშრომლობისა და შესაბამისი დარგისთვის საჭირო უნარ-ჩვევები.

აღწერა და ანალიზი

პროგრამა 1 - ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი საბაკალავრო პროგრამა

იბსუ-მ თანამედროვე კამპუსის ბაზაზე შეიმუშავა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნეს ადმინისტრირება- საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი, რომელიც აღჭურვილია პროგრამის აკადემიური და პრაქტიკული მიმართულებების შესაბამისი ინფრასტრუქტურით. კამპუსში განთავსებულია კონდიცირებული ბიბლიოთეკა, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და შედეგებს. ყოველი აუდიტორია კარგად არის აღჭურვილი აკადემიურად სასიამოვნო გარემოს შესაქმნელად და სტუდენტისთვის ხარისხიანი განათლებისთვის საჭირო ყველა საშუალების უზრუნველსაყოფად. პრაქტიკული სწავლების პერსპექტივის გათვალისწინებით, პროგრამა მოიცავს საქართველოში ბიზნეს სუბიექტებში ყველაზე გავრცელებულ ორ საბუღალტრო პროგრამას - Oris და Balance, რაც უზრუნველყოფს შესაბამის პრაქტიკულ გამოცდილებას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა კამპუსის მთავარი ელემენტია, რომელიც გამოირჩევა თანამედროვე ინფრასტრუქტურით და სპეციალური სამუშაო სივრცეებით როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ აკრედიტაციის ვიზიტის დროს რამდენიმე ეგზემპლარი სავალდებულო სასწავლო ლიტერატურიდან არ იყო ადგილზე, უნივერსიტეტმა უკვე გამოყო სახსრები თავისი ფონდების განახლებისთვის. ბიბლიოთეკის პერსონალთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ კრიტიკულად მნიშვნელოვანი წიგნების ახალი გამოცემები იყიდება წინასწარ, პროგრამის ფორმალურად დაწყებამდე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტებისთვის უახლესი მასალის მიწოდება.

სტუდენტები კარგად იცნობენ ხელმისაწვდომ მომსახურებებს და მათი გამოყენების წესებს, რაც უზრუნველყოფს მაქსიმალურ გამოყენებას. უნივერსიტეტი გეგმავს მეწარმეობის ლაბორატორიის გახსნას, რომელიც სტუდენტებს რეალურ ბიზნეს პროექტებთან დააკავშირებს. შეჯამების სახით, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა - ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი მხარდაჭერილია კარგი ინფრასტრუქტურით, ბიბლიოთეკის სრული რესურსით, და შესაბამისად, უზრუნველყოფს სრულყოფილ განათლებას, რომელიც კურსდამთავრებულებს ბიზნესის სამყაროში წარმატებულ კარიერას უქმნის.

პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამა

იბსუ-მ თანამედროვე კამპუსის ბაზაზე შეიმუშავა ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნეს ადმინისტრირება- საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი, რომელიც აღჭურვილია პროგრამის აკადემიური და პრაქტიკული მიმართულებების შესაბამისი ინფრასტრუქტურით. გარდა ამისა, კამპუსში არსებობს თანამედროვე ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია მასალებითა და ტექნიკური რესურსებით, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და შედეგებს. ყოველი საკლასო ოთახი

კარგად არის აღჭურვილი, რათა შექმნას აკადემიური გარემო და უზრუნველყოფს ყველა საჭირო საშუალებას, რომელიც შეიძლება დასჭირდეს სტუდენტს ხარისხიანი განათლების მიღების პროცესში. პრაქტიკული სწავლების პერსპექტივის გათვალისწინებით, პროგრამა მოიცავს საქართველოში ბიზნეს სუბიექტებში ყველაზე გავრცელებულ ორ საბუღალტრო პროგრამას - Oris და Balance, რაც უზრუნველყოფს შესაბამის პრაქტიკულ გამოცდილებას.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა არის კამპუსის გული, რომელიც გამოირჩევა თანამედროვე ინფრასტრუქტურით და სპეციალური სამუშაო სივრცეებით როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის. მიუხედავად იმისა, რომ აკრედიტაციის ვიზიტის დროს რამდენიმე ეგზემპლარი სავალდებულო სასწავლო ლიტერატურიდან არ იყო ადგილზე, უნივერსიტეტმა უკვე გამოყო სახსრები თავისი ფონდების განახლებისთვის. ბიბლიოთეკის პერსონალთან გასაუბრების თანახმად, კრიტიკულად მნიშვნელოვანი წიგნების ახალი გამოცემები იყიდება წინასწარ, ფორმალური პროგრამის დაწყებამდე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტებისთვის უახლესი მასალის მიწოდება.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ მატერიალური, საინფორმაციო და ციფრული რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც სტუდენტებისთვის, ისე პერსონალისთვის. სტუდენტები კარგად იცნობენ ხელმისაწვდომ მომსახურებებს და მათი გამოყენების წესებს, რაც უზრუნველყოფს მაქსიმალურ გამოყენებას. უნივერსიტეტი გეგმავს მეწარმეობის ლაბორატორიის გახსნას, რომელიც სტუდენტებს რეალურ ბიზნეს პროექტებში ჩართავს.

მოკლედ, ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი საბოლოო ჯამში მხარდაჭერილია კარგი ინფრასტრუქტურით, ბიბლიოთეკის სრული რესურსით, და შესაბამისად, უზრუნველყოფს სრულყოფილ განათლებას, რომელიც კურსდამთავრებულებს ბიზნესის სამყაროში წარმატებულ კარიერას უქმნის.

პროგრამა 3- ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი საბაკალავრო პროგრამა

საერთო ჯამში, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კამპუსი სრულად აკმაყოფილებს საბაკალავრო პროგრამის ბიზნეს ადმინისტრირება - მენეჯმენტის მოთხოვნებს. კომპიუტერზე დაფუძნებული ბიბლიოთეკა მოიცავს სწავლებისა და სწავლისათვის საჭირო აუცილებელ საშუალებებს: პუბლიკაციების კოლექციას, დოკუმენტაციას, მატერიალურ და ტექნიკურ რესურსებს, რომლებიც აუცილებელია პროგრამის მიზნების მიღწევისა და სასურველი აკადემიური შედეგების მისაღებად ხარისხისა და სტატისტიკის თვალსაზრისით. ყველა აუდიტორია აღჭურვილია საჭირო ხელსაწყოებითა და აღჭურვილობით; შესაბამისად, სტუდენტებს ხელთ აქვთ ყველაფერი, რაც შეიძლება დასჭირდეთ ეფექტური სასწავლო პროცესისთვის.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა შექმნილია თანამედროვე ინფრასტრუქტურის საფუძველზე, საკმარისი სივრცით როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის. ყველა არსებითი ბექდური მასალა და სასწავლო წყარო, მათ შორის სასწავლო გეგმაში მოხსენიებული ელექტრონული მედია, ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, რათა მათ შეძლონ სასურველი აკადემიური მიზნების მიღწევისთვის საჭირო მასალების გამოყენება. ამასთან, არაკომერციულ იურიდიულ პირთან - ქართული ბიბლიოთეკების ასოციაციასთან პარტნიორობით, იბსუ-ს სტუდენტებს მიეწოდებათ საერთაშორისო ონლაინ ბიბლიოთეკები და სამეცნიერო

პერიოდული გამოცემები სამეცნიერო საქმიანობებისთვის, რაც მათ აძლევს სასწავლო პროგრამის შედეგების მიღწევისთვის საჭირო სამეცნიერო რესურსს.

იბსუ უზრუნველყოფს, რომ მატერიალური, ლაბორატორიული, საინფორმაციო და ციფრული საშუალებები მარტივად იყოს ხელმისაწვდომი სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის. სტუდენტებს გაცნობითი ტურებისა და სასწავლო სესიების დროს აცნობენ ინფორმაციას არსებული საშუალებების შესახებ და იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გამოიყენონ სწავლის პროცესში. იმართება სამუშაო შეხვედრების სერია და აქტივობები დარგის ექსპერტების მონაწილეობით, რომლებიც მიმართულია პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისკენ, შემდეგ კი ეს პრაქტიკაში გადადის პრაქტიკოსებთან და კომპანიებთან კონსოლიდირებული პროექტების სახით.

პროგრამა 4 - ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამა

იბსუ-ს კამპუსი სრულად აკმაყოფილებს ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ბიზნეს ადმინისტრირება - მენეჯმენტის პირობებს. კომპიუტერზე დაფუძნებული ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების აუცილებელ საშუალებებს: პუბლიკაციები, დოკუმენტაცია და ტექნიკური მასალები, რომლებიც საჭიროა პროგრამის მიზნების მიღწევისა და სასურველი აკადემიური მოსწრების ხარისხის უზრუნველსაყოფად, ხელმისაწვდომია. ყველა აუდიტორია აღჭურვილია საჭირო ინსტრუმენტებით და აღჭურვილობით; სტუდენტები იპოვიან ყველაფერს, რაც დასჭირდებათ კომფორტული და ეფექტური სწავლის პროცესისთვის.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა თანამედროვეა, საკმაოდ ვრცელი იმისათვის, რომ კომფორტულად დაიტიოს ყველა სტუდენტი და თანამშრომელი სამუშაო პროცესისთვის. იგი აგრეთვე იძლევა წვდომას ყველა აუცილებელ ნაბეჭდ მასალაზე და სასწავლო რესურსზე, აგრეთვე სასწავლო გეგმაში მითითებულ ყველა ელექტრონულ მედიაზე. ობიექტი სტუდენტებს წვდომას აძლევს აკადემიური მიზნების მიღწევისთვის საჭირო მასალებზე. ამასთან, არაკომერციული იურიდიული პირის - ქართული ბიბლიოთეკების ასოციაციის მხარდაჭერით, სტუდენტებს მიეცათ წვდომა საერთაშორისო ონლაინ ბიბლიოთეკებსა და სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებზე, რაც უკეთ აძლევთ საშუალებას მიაღწიონ პროგრამაში მითითებულ სწავლის შედეგებს.

იბსუ უზრუნველყოფს, რომ მატერიალური, ლაბორატორიული, საინფორმაციო და ციფრული საშუალებები მარტივად იყოს ხელმისაწვდომი სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის. სტუდენტებს გაცნობითი ტურებისა და სასწავლო სესიების დროს აცნობენ და ასწავლიან რესურსების გამოყენებას, რათა შეძლონ ეფექტურად გამოიყენონ მთელი მათი სწავლების განმავლობაში შემოთავაზებული რესურსები. გარდა ამისა, სემინარები, რომელშიც ასევე მონაწილეობენ დარგის წარმომადგენლები, აძლევს სტუდენტებს პრაქტიკულ უნარებს, რომლებიც გამოიყენება პრაქტიკოსებთან და კომპანიებთან გუნდურ მუშაობაში.

პროგრამა 5 - ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი საბაკალავრო პროგრამა

უნივერსიტეტმა განავითარა თანამედროვე კამპუსი, რომელსაც შეუძლია მხარი დაუჭიროს არა მხოლოდ განათლებას, არამედ კვლევასაც. კამპუსი მიმზიდველი, სუფთა, უსაფრთხო და ფუნქციონალურია, ხოლო შესაბამისი ხელისუფლება უზრუნველყოფს მის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის სათანადო მოვლა-შენახვას.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი მნიშვნელოვანი ობიექტია, რომელიც სრულადაა აღჭურვილი შესაბამისი მასალებით, რომლებიც სტუდენტებს ხელმისაწვდომი აქვთ როგორც ონლაინ, ისე ბეჭდური სახით. პროგრამა „სწავლის ჭკვიანური გზა“ მოიცავს დამატებით მასალებს, რომლებიც მოიცავს ლექტორების მიერ მომზადებულ ლექციებს, რათა გააუმჯობესოს სტუდენტების მიერ შეძენილი ცოდნა და უნარ-ჩვევები. ფაკულტეტის ელექტრონული კატალოგი მარტივად ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-საიტზე, რაც საშუალებას იძლევა რესურსების ძიება მოხდეს ავტორის, სათაურის ან საგნის მიხედვით, შესაბამისად მოსამიებელი მასალები იოლად ხელმისაწვდომი ხდება როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის.

გარდა ამისა, უნივერსიტეტი სტუდენტებს აძლევს წვდომას სამეცნიერო მონაცემთა ბაზებსა და უახლეს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებზე, რათა მათ შეძლონ დარგში უახლესი ცოდნის მიღება. ჭკვიანი სისტემის საშუალებით, სტუდენტებს შეუძლიათ დისტანციურად იხილონ ნებისმიერი საჭირო ლიტერატურა, რაც ხელს უწყობს სახლში სწავლის გაგრძელების პირობების შექმნას. სწორედ ასეთი დეტალური ყურადღება იმის უზრუნველსაყოფად, რომ არ იქნეს შეფერხებული საგანმანათლებლო ინსტრუმენტებზე წვდომა, ადასტურებს უნივერსიტეტის მტკიცე გადაწყვეტილებას განათლების მაღალი სტანდარტების შესანარჩუნებლად.

პროგრამა 6 - ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამა

უნივერსიტეტმა განავითარა თანამედროვე კამპუსი, რომელსაც შეუძლია მხარი დაუჭიროს არა მხოლოდ განათლებას, არამედ კვლევასაც. კამპუსი მიმზიდველი, სუფთა, უსაფრთხო და ფუნქციონალურია, ხოლო შესაბამისი ხელისუფლება უზრუნველყოფს მის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის სათანადო მოვლა-შენახვას.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი მნიშვნელოვანი ობიექტია, რომელიც სრულადაა აღჭურვილი შესაბამისი მასალებით, რომლებიც სტუდენტებს ხელმისაწვდომი აქვთ როგორც ონლაინ, ისე ბეჭდური სახით. პროგრამა „სწავლის ჭკვიანური გზა“ მოიცავს დამატებით მასალებს, რომლებიც მოიცავს ლექტორების მიერ მომზადებულ ლექციებს, რათა გააუმჯობესოს სტუდენტების მიერ შეძენილი ცოდნა და უნარ-ჩვევები. ფაკულტეტის ელექტრონული კატალოგი მარტივად ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-საიტზე, რაც საშუალებას იძლევა რესურსების ძიება მოხდეს ავტორის, სათაურის ან საგნის მიხედვით, შესაბამისად მოსამიებელი მასალები იოლად ხელმისაწვდომი ხდება როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის.

